



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო
პროგრამების კლასტერის შესახებ

სკოლამდელი განათლება (ბაკალავრიატი), მასწავლებლის მომზადების
საგანმანათლებლო პროგრამა,
დაწყებითი/ საბაზო/ საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების
საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი

25.-26. 4. 2025

2025 წლის 1 ივლისი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	სსიპ - შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	220407888
დაწესებულების ტიპი	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მილან პოლი, მასარიკის უნივერსიტეტი, ჩეხეთის რესპუბლიკა
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	რევაზ ტაბატაძე, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	დიანა მჭედლიშვილი, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	სოფიო უგრეხელიძე, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	გიზო უჩაიძე, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, საქართველო

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2	პროგრამა 3
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	სკოლამდელი განათლება (ბაკალავრიატი)	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი /საბაზო/ საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი		
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სკოლამდელი განათლების ბაკალავრი		
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0112 სკოლამდელი განათლების მასწავლებლის მომზადება		
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება		1. საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულება: • საბაზო-საშუალო საფეხურის (VII-XII) მასწავლებელი საზოგადოებრივ მეცნიერებებში - ისტორიის მასწავლებელი • საბაზო-საშუალო საფეხურის (VII-XII) მასწავლებელი საზოგადოებრივ მეცნიერებებში - სამოქალაქო განათლების მასწავლებელი • საბაზო-საშუალო	1. ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულება: • დაწყებითი საფეხურის (I-VI) ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი • საბაზო-საშუალო საფეხურის (VII-XII) ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი 2. მათემატიკის მიმართულება: • დაწყებითი საფეხურის (I-VI) მათემატიკის მასწავლებელი • საბაზო-საშუალო საფეხურის (VII-XII) მათემატიკის მასწავლებელი 3. დაწყებითი საფეხურის კომპიუტერული ტექნოლოგიების

		საფეხურის (VII-XII) მასწავლებელი საზოგადოებრივ მეცნიერებებში - გეოგრაფიის მასწავლებელი 2. საბუნებისმეტყველო ბლოკი: • საბაზო-საშუალო საფეხურის (VII-XII) ბიოლოგიის მასწავლებელი • საბაზო-საშუალო საფეხურის (VII-XII) ქიმიის მასწავლებელი 3. უცხოური ენების მიმართულება: • დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებელი უცხოურ ენაში - ინგლისური ენის მასწავლებელი 4. ესთეტიკისა და სპორტის მიმართულება: • დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელი; • დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მუსიკის მასწავლებელი	მასწავლებელი; 4. დაწყებითი საფეხურის (I-IV კლასების) ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების მასწავლებელი; 5. ბუნებისმეტყველების მიმართულება: • დაწყებითი საფეხურის (I-VI) ბუნებისმეტყველების მასწავლებელი
--	--	--	--

სწავლების ენა	ქართული	ქართული	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240	60	60
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული, N: 848123 07.07.2023	აკრედიტებული, N:137, 14.12.2016	ახალი

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერში დაჯგუფებულია სამი პროგრამა: სკოლამდელი განათლება (ბაკალავრიატი), მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა. კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები შეესაბამება ერთმანეთს.

საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, ხოლო დანარჩენ ორ პროგრამას თითოეულს მინიჭებული აქვს 60 ECTS კრედიტი.

სამივე პროგრამაზე სწავლების ენაა ქართული.

ორი პროგრამა აკრედიტებულია 2025 წლის სექტემბრამდე. სკოლამდელი განათლება, ბაკალავრიატი (2023 წლიდან) და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (2016 წლიდან) აკრედიტებულია 2025 წლის სექტემბრამდე, ხოლო მესამე პროგრამა ახალია.

სამივე პროგრამა შემუშავებულია შრომის ბაზრის საჭიროებების ანალიზის საფუძველზე, ასევე ეროვნული და საერთაშორისო დონეზე არსებული მსგავსი პროგრამების გათვალისწინებით.

ამ კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსები და სხვა პირობები, ასევე, ინფრასტრუქტურა, არის კარგ, ზოგ შემთხვევაში კი ძალიან კარგ მდგომარეობაში.

- აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 25-26 აპრილს. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფს გადაეცა პროგრამების კლასტერთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, რამაც მათ მისცა საშუალება გასცნობოდნენ და წინასწარ დეტალურად შეესწავლათ მასალები. 2025 წლის 17 აპრილს გამართულ მოსამზადებელ შეხვედრაზე, ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა განიხილეს წინასწარი დასკვნები და შეთანხმდნენ თანამშრომლობაზე. ადგილზე ვიზიტის დროს მათ დამატებით მოითხოვეს გარკვეული დოკუმენტები, რაც უნივერსიტეტმა დროულად წარადგინა.

ადგილზე ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ. ორი დღის განმავლობაში, ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა შესაძლებლობა შეხვედროდა უნივერსიტეტისა და მის ფარგლებს გარეთ ყველა შესაბამისი ჯგუფის წარმომადგენლებს და მათთან განეხილა შესაფასებლად წარმოდგენილი პროგრამების კლასტერთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა შესაძლებლობა დაეთვალიერებინა უნივერსიტეტის ის ინფრასტრუქტურა, რომელიც აუცილებელია კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების განხორციელებისათვის.

ექსპერტთა ჯგუფის მუშაობას ეფექტურად უჭერდნენ მხარს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლები — კერძოდ, თათია მამრიკიშვილი ვიზიტამდე და ლალი ოდიშვილი ვიზიტის მიმდინარეობისას. ასევე, დიდად დასაფასებელია მარიამ ხაჭომიას, როგორც თარჯიმნის დახმარება მთელი ვიზიტის განმავლობაში.

- საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერი სრულად შეესაბამება მოთხოვნებს სტანდარტი 3, 4-სა და 5 შემთხვევაში. ასევე, ჯგუფმა დაასკვნა, რომ პროგრამების კლასტერი მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს სტანდარტი 1 და 2 შემთხვევაში.

- რეკომენდაციები

კლასტერისთვის:

- რეკომენდებულია, ბავშვთა უფლებების თემის მკაფიოდ ასახვა სწავლის შედეგებში, რათა ხაზი გაესვას ამ საკითხის მნიშვნელობას მომავალი პედაგოგების მომზადებაში. (1.2)
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს მარეგულირებელი ჩარჩო, რომელიც განსაზღვრავს დისტანციური და ელექტრონული სწავლების სტანდარტებსა და მახასიათებლებს. (2.3)
- რეკომენდებულია, სტუდენტებისა და პერსონალის ცნობიერების ამაღლება აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხებზე, ასევე პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და რეაგირების მექანიზმებზე. (2.4)
- რეკომენდებულია, შეფასების მეთოდების გადახედვა და მხოლოდ იმ მეთოდების განსაზღვრა, რომლებიც შეესაბამება პროგრამის კომპონენტების კონკრეტულ მახასიათებლებს და უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. (2.4)
- რეკომენდებულია, დატვირთვის განაწილება იყოს ლოგიკური ყველა აკადემიური პერსონალისთვის, რათა ხელი შეეწყოს სწავლებას, ხელმძღვანელობას, სასწავლო გეგმების განვითარებასა და სტუდენტებთან ურთიერთობას ზედმეტი დატვირთვის გარეშე, რაც დადებითად აისახება სწავლების ხარისხსა და სტუდენტების შედეგებზე. (4.1) რეკომენდებულია, პერსონალის კვლევითი საქმიანობის, პუბლიკაციების და ინგლისური ენის ცოდნის გაუმჯობესების მიმართულებით მუშაობა. (4.3)
- რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები პროგრამის პერსონალის ცნობიერების ამაღლების მიზნით, რათა ისინი სრულად და სიღრმისეულად გაეცნონ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სისტემას. (5.1)

რეკომენდაციები საბაკალავრო პროგრამისთვის "სკოლამდელი განათლება"

- რეკომენდებულია, საერთაშორისო ანალოგიური პროგრამების შედარებითი ანალიზის განხორციელება და უცხოელი ექსპერტების ჩართვა პროგრამის შეფასების პროცესში. ეს მიდგომა ხელს შეუწყობს პროგრამის განვითარებას, გააძლიერებს აკადემიური პერსონალის პროფესიულ კომპეტენციებს და პროგრამის ინტერნაციონალიზაციას. (1.4)

- რეკომენდებულია, ინდივიდუალური კურსებისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობის, ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების თანაფარდობის გადახედვა და კორექტირება, რათა უკეთ ასახავდეს თითოეული კურსის სპეციფიკასა და აკადემიურ მოთხოვნებს. (1.5)

რეკომენდაციები პროგრამისთვის "მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა"

- რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების დაყოფა შემდეგ კატეგორიებად: ცოდნა და გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომია, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სტრუქტურული თანმიმდევრულობა და შესაბამისობა საკვალიფიკაციო სტანდარტებთან. (1.2)

- რეკომენდებულია სავალდებულო არჩევითი საგნების გადახედვა და მისი კრედიტების საერთო მოცულობის გაზრდის შესაძლებლობის განხილვა, რათა უზრუნველყოფილი იქნას ინტეგრირებული საგნებისთვის განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა. (1.4)

- რეკომენდებულია, მასწავლებელთა მომზადების პროგრამებმა მკაფიოდ განსაზღვრონ შეთავაზებული საგნობრივი მოდულები, სადაც მითითებული იქნება, რომ სტუდენტებმა უნდა აირჩიონ ერთი მოდული და მიღებული სერტიფიკატი მათ მისცემს შესაბამისი საგნის სწავლების უფლებას. (1.4)

- რეკომენდებულია, გადაიხედოს კრედიტების განაწილება და მოცულობა საგნობრივი სწავლების მეთოდის მოდულებში, რათა ისინი უკეთ ასახავდეს სასწავლო მასალის რეალურ მოცულობას და უზრუნველყოს დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევა. საჭიროების შემთხვევაში, რეკომენდებულია განხორციელდეს კურსების ინტეგრაცია და კრედიტების ხელახალი განაწილება, რათა გაძლიერდეს პროგრამის სხვა კომპონენტები, განსაკუთრებით არჩევით-სავალდებულო ბლოკებში. (1.5)

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა პროგრამაში ჩასარიცხად მიუთითოს მხოლოდ ის წინაპირობები, რომლებიც შეესაბამება მასწავლებლის მომზადების პროგრამის განხორციელების ამჟამად არსებულ ფორმატს. (2.1)

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა დროულად განაახლოს მემორანდუმები სკოლებთან, რათა უზრუნველყოფილი იქნას პრაქტიკის კომპონენტის შეუფერხებელი განხორციელება. ამ მემორანდუმებში მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული პრაქტიკაზე მისაღები სტუდენტების რაოდენობა, ასევე, პრაქტიკის მიზნები და ხანგრძლივობა. (2.2)

რეკომენდაციები პროგრამისთვის "დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა".

- რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების დაყოფა შემდეგ კატეგორიებად: ცოდნა და გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომია, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სტრუქტურული თანმიმდევრულობა და შესაბამისობა საკვალიფიკაციო სტანდარტებთან. (1.2)
- რეკომენდებულია, გადაიხედოს სავალდებულო არჩევითი საგნების ბლოკი და განიხილოს მათი საერთო კრედიტების რაოდენობის შესაძლო გაზრდა, რათა უზრუნველყოფილი იქნას ინტეგრირებული საგნებისთვის განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა. (1.4)
- რეკომენდებულია, მასწავლებელთა მომზადების პროგრამებმა მკაფიოდ განსაზღვრონ საგნობრივი მოდულები, მიუთითონ, რომ სტუდენტებმა უნდა აირჩიონ ერთი მოდული და მიიღებენ სერტიფიკატს, რომელიც მათ აძლევს უფლებას ასწავლონ შესაბამისი საგანი. (1.4)
- რეკომენდებულია, გადაიხედოს კრედიტების განაწილება და მოცულობა საგნობრივი სწავლების მეთოდის მოდულებში, რათა ისინი უკეთ ასახავდეს სასწავლო მასალის რეალურ მოცულობას და უზრუნველყოს დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევა. საჭიროების შემთხვევაში, რეკომენდებულია განხორციელდეს კურსების ინტეგრაცია და კრედიტების ხელახალი გადანაწილება, რათა გაძლიერდეს პროგრამის სხვა კომპონენტები, განსაკუთრებით არჩევით-სავალდებულო ბლოკებში. (1.5)
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა პროგრამაში ჩასარიცხად მიუთითოს მხოლოდ ის წინაპირობები, რომლებიც შეესაბამება მასწავლებლის მომზადების პროგრამის ამჟამინდელ ინდივიდუალურ განხორციელების ფორმატს. (2.1)
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა დროულად განაახლოს მემორანდუმები სკოლებთან, რათა უზრუნველყოფილი იქნას პრაქტიკის კომპონენტის შეუფერხებელი განხორციელება. ამ მემორანდუმებში მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული პრაქტიკაზე მისაღები სტუდენტების რაოდენობა, ასევე, პრაქტიკის მიზნები და ხანგრძლივობა. (2.2)

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, აკადემიური პერსონალისთვის მიზნობრივი ტრენინგის ჩატარება ონლაინ სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებზე, რაც უზრუნველყოფს დისტანციური სწავლის პრაქტიკის ეფექტურ განხორციელებასა და ხარისხის უზრუნველყოფას. (2.3)
- სასურველია, გადაიხედოს მსგავსების დასაშვები ზღვარი, რადგან ნაშრომის თითქმის მესამედის მსგავსება აჩენს კითხვებს, ნაშრომის ორიგინალურობასთან დაკავშირებით.. (2.3)
- სასურველია, გაგრძელდეს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ცნობიერების ამაღლება და მათი ხელშეწყობა, რათა ეფექტურად გამოიყენონ ელექტრონულ მონაცემთა ბაზებში არსებული რესურსები. (4.4)
- სასურველია, განიხილოს კურსდამთავრებულებისთვის უნივერსიტეტის ყველა სასწავლო რესურსზე უფასო წვდომის მინიჭების შესაძლებლობა. (4.4)
- სასურველია, უნივერსიტეტმა თავიდან აიცილოს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების მექანიკურ ფორმალურობად ქცევა. ამისათვის საჭიროა, ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით

შეგროვებული მონაცემების სიღრმისეული ხარისხობრივი ანალიზი და შინაარსის განვითარებაზე მუდმივი კონცენტრირება, რაც უნდა ხორციელდებოდეს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან უწყვეტი თანამშრომლობის გზით. (5.3)

- რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

არ არის მითითებული

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

არ არის მითითებული

- ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე
- უნივერსიტეტი ეთანხმება რეკომენდაციების უმეტესობას. ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა ის შემთხვევებიც, როდესაც უნივერსიტეტი არ ეთანხმებოდა ან ნაწილობრივ ეთანხმებოდა რეკომენდაციებს. გარდა 2.3 კომპონენტთან დაკავშირებული რეკომენდაციისა (რეკომენდებულია გადაისინჯოს ნაშრომში დასაშვები მსგავსების ზღვარი, ვინაიდან თითქმის ერთი მესამედის მსგავსება ეჭვებს აჩენს ნაშრომის ორიგინალობასთან დაკავშირებით), ყველა დანარჩენ შემთხვევაზე ექსპერტთა ჯგუფი დარჩა საწყის პოზიციაზე. რაც შეეხება 2.3 კომპონენტს, ეს რეკომენდაცია ექსპერტთა ჯგუფმა რჩევებში გადაიტანა.
- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტების შეფასება ხორციელდება შემდეგი ორი მიდგომის გამოყენებით:

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება
2. კლასტერის შეფასება

სტანდარტის კომპონენტი:	შეფასების მიდგომები:
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	

1.1. პროგრამის მიზნები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	კლასტერული
1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	კლასტერული და ინდივიდუალური
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	კლასტერული და ინდივიდუალური
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	კლასტერული და ინდივიდუალური
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	კლასტერული
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	კლასტერული
2.4. სტუდენტის შეფასება	კლასტერული
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	
3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	კლასტერული
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	კლასტერული
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	
4.1. ადამიანური რესურსები	კლასტერული და ინდივიდუალური
4.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია	კლასტერული და ინდივიდუალური
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	კლასტერული
4.4. მატერიალური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	კლასტერული და ინდივიდუალური
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.2. გარე ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	კლასტერული

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამების თავისებურებებს. ისინი განსაზღვრავენ იმ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რომლებსაც უნდა ფლობდნენ პროგრამის კურსდამთავრებულები. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების მიზნები ასახავს პროგრამებისა და კლასტერის წვლილს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სკოლამდელი განათლება, ბაკალავრიატი)

უნივერსიტეტის მისიის, ფაკულტეტის წესდებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად, პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტებისთვის ყოვლისმომცველი ცოდნის მიწოდებას ბავშვთა ადრეული განვითარების პრინციპების, ამ პროცესზე მოქმედი ფაქტორების, ხარისხიანი ადრეული განათლების ძირითადი მახასიათებლებისა და ასაკისა და განვითარების შესაბამისი სასწავლო პროგრამების შემუშავების შესახებ. გარდა ამისა, პროგრამა მიზნად ისახავს განუვითაროს სტუდენტებს ეფექტური საგანმანათლებლო სტრატეგიების განხორციელების უნარი.

პროგრამის მიზნები ორიენტირებულია იმ კომპეტენციების განვითარებაზე, რომლებიც სტუდენტებს საშუალებას მისცემს ხელი შეუწყონ ბავშვის სრულფასოვან განვითარებას, ეფექტურად მართონ საგანმანათლებლო პროცესი, შეაფასონ როგორც ბავშვი, ისე საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკა და დაამყარონ პოზიტიური კომუნიკაცია ბავშვებთან, მშობლებთან, საზოგადოებასთან, ბავშვზე ზრუნვის

სფეროს პროფესიონალებთან და დაწყებითი განათლების მასწავლებლებთან — მტკიცებულებებზე დაფუძნებული ცოდნის საფუძველზე.

პროგრამა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ბავშვთა ადრეული განათლების სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც გამოირჩევიან სამოქალაქო პასუხისმგებლობით, დემოკრატიული ღირებულებებისა და პრინციპების პატივისცემით, ბავშვთა უფლებების დაცვისადმი ერთგულებით, სკოლამდელი განათლების მნიშვნელობის გააზრებით და ინკლუზიური გარემოს შექმნისა და პროფესიული განვითარებისთვის მუდმივი მზადყოფნით. ეს კომპეტენციები მნიშვნელოვანია, იმისათვის, რომ დაძლეული იქნას რეგიონში კვალიფიციური სპეციალისტების მიმართ არსებული დეფიციტი.

ამ მიზნების მისაღწევად, პროგრამა აერთიანებს თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას. პროგრამა მოიცავს კურსებს, რომლებიც აუცილებელია სკოლამდელი განათლების სფეროში საჭირო ცოდნის შესაძენად. ამ კურსების სტრუქტურა, შინაარსი და მოცულობა, ასევე გამოყენებული სასწავლო ფორმატი, შეესაბამება ბაკალავრიატის ხარისხის მოთხოვნებს.

შრომის ბაზრის მონაცემების ანალიზი მიუთითებს, რომ სკოლამდელი განათლების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულები განიხილებიან როგორც პოტენციური თანამშრომლები ადრეული და სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში — როგორც საგანმანათლებლო პოზიციებზე (მაგალითად, აღმზრდელი-პედაგოგი, აღმზრდელი, მეთოდისტი), ასევე, ადმინისტრაციულ პოზიციებზე. ისინი ასევე საქმდებიან როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ ადრეული ასაკის საგანმანათლებლო პროგრამებში, ადრეული ასაკის განათლებისა და აღზრდის დაწესებულებებში, ასევე „ადრეული ჩარევის სერვისებსა და პროგრამებში.

რეაკრედიტაციის პროცესის განმავლობაში პროგრამაში განხორციელდა რამდენიმე ცვლილება. ცვლილებები მოიცავდა პრაქტიკული უნარების გაუმჯობესებისკენ მიმართული ახალი კურსების შემოტანას, სასწავლო გეგმის სრულმასშტაბიან გადახედვას, არჩევითი და თავისუფალი კომპონენტების გამდიდრებას და სავალდებულო 20-კრედიტიანი ენის მოდულის დანერგვას. შესაბამისად, განხორციელებული ცვლილებების ასახვის მიზნით, გადაიხედა პროგრამის სწავლის შედეგებიც.

პროგრამის შემუშავების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ეროვნული საგანმანათლებლო ჩარჩოს ფარგლებში არსებული ანალოგიური პროგრამების შინაარსს. პროგრამის შემუშავების პროცესში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტად გამოყენებული იყო კოლეგიალური შეფასება.

იმის გათვალისწინებით, რომ სკოლამდელი განათლება საქართველოში კვლავ განვითარებად სფეროს წარმოადგენს და მრავალი გამოწვევის წინაშე დგას, პროგრამის მუდმივი გაუმჯობესებისა და განვითარებისთვის, აუცილებელია საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკისა და გამოცდილების ინტეგრირება (იხილეთ კომპონენტი 1.3).

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

უნივერსიტეტის მისიის, ფაკულტეტის წესდებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად, პროგრამა მიზნად ისახავს დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლების მომზადებას, საქართველოს განათლების სფეროში მოქმედი საკანონმდებლო ჩარჩოს შესაბამისად. ეს გულისხმობს განათლების შესახებ კანონთან შესაბამისობას, მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის დაცვას, მოქმედი პროფესიული სტანდარტების შესრულებას და შესაბამის დარგობრივ მახასიათებელში მოცემული მოთხოვნების გათვალისწინებას.

პროგრამის მიზანია მოამზადოს პედაგოგები, რომლებიც:

- ავლენენ კრიტიკულ აზროვნებას, ინოვაციურ შესაძლებლობებსა და აკადემიურ კომპეტენტურობას;
- გააჩნიათ სამოქალაქო ცნობიერება და დემოკრატიული ღირებულებები;
- ფლობენ კონკრეტული საგნების სწავლებისთვის საჭირო ცოდნასა და პედაგოგიურ უნარებს;
- ორიენტირებულნი არიან უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე;
- გამოირჩევიან კონკურენტუნარიანობით, ინოვაციებისთვის გახსნილობით და უნარით, დაწერონ ეს ინოვაციები საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში.

ამ მიზნების განხორციელებისათვის, პროგრამას შემუშავებული აქვს ინტეგრირებული სასწავლო გეგმა, რომელიც აერთიანებს თეორიულ საფუძვლებს და პრაქტიკული მომზადების კომპონენტებს.

შრომის ბაზრის კვლევის ანალიზის საფუძველზე, პროგრამის კურსდამთავრებულები კვალიფიცირებულნი არიან იმუშაონ მასწავლებლებად შესაბამის საგანმანათლებლო დონეებსა და საგნობრივ მიმართულებებში, როგორც საჯარო, ისე კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. გარდა ამისა, მათ შეუძლიათ ჩაერთონ სწავლების პროცესში როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებში.

რეაქრედიტაციისთვის მზადების ეტაპზე, პროგრამაში განხორციელდა რიგი ცვლილებები. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სასწავლო გეგმას დაემატა არჩევითი კურსები; განახლდა სასწავლო მასალები რამდენიმე სასწავლო მოდულში; და ასევე, გადამუშავდა პროგრამის სწავლის შედეგები, რათა უკეთ ასახულიყო განხორციელებული გაუმჯობესებები.

პროგრამის შემუშავების პროცესში საფუძვლიანად გაანალიზდა ადგილობრივი საგანმანათლებლო სივრცეში არსებული ანალოგიური პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი. გარდა ამისა, პროგრამამ გაიარა კოლეგიალური შეფასება, რათა უზრუნველყოფილიყო მისი მაღალი აკადემიური სტანდარტები და აქტუალობა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 - დაწყებითი/საბაზო/ საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

უნივერსიტეტის მისიის, ფაკულტეტის წესდებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად, პროგრამა მიზნად ისახავს დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მაღალკვალიფიციური მასწავლებლების მომზადებას, რომლებიც აკმაყოფილებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ პროფესიულ და სამართლებრივ სტანდარტებს. კერძოდ, მასში შედის საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, პედაგოგთა პროფესიული ეთიკის კოდექსი და ეროვნული დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული მოთხოვნები.

პროგრამის მიზანია მოამზადოს მომავალი პედაგოგები, რომლებიც:

- ავლენენ კრიტიკულ აზროვნებას, ინოვაციურ შესაძლებლობებსა და აკადემიურ კომპეტენტურობას;
- გამოირჩევიან სამოქალაქო პასუხისმგებლობის გრძნობითა და დემოკრატიული ღირებულებებისადმი ერთგულებით;
- ფლობენ სიღრმისეულ საგნობრივ ცოდნასა და შესაბამის პედაგოგიურ უნარებს;
- ორიენტირებულნი არიან უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე;
- არიან კონკურენტუნარიანები, გახსნილი პედაგოგიური ინოვაციებისადმი და შეუძლიათ თანამედროვე სწავლების სტრატეგიების პრაქტიკაში ეფექტურად ინტეგრირება.

ამ მიზნების მისაღწევად, პროგრამა გვთავაზობს ინტეგრირებულ მიდგომას, რომელიც აერთიანებს საფუძვლიან თეორიულ სწავლებას და მნიშვნელოვან პრაქტიკულ გამოცდილებას. სასწავლო გეგმა ისეა სტრუქტურირებული, რომ სტუდენტებმა მიიღონ როგორც საფუძვლიანი თეორიული ცოდნა, ასევე პრაქტიკული უნარები, რაც აუცილებელია წარმატებული სწავლებისთვის დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე.

დეტალური შრომის ბაზრის ანალიზის საფუძველზე, პროგრამის კურსდამთავრებულებს აქვთ უფლება დაიკავონ მასწავლებლის პოზიციები სხვადასხვა დონეზე, როგორც საჯარო, ისე კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. ისინი ასევე მზად არიან ჩაერთონ როგორც ფორმალურ, ასევე არაფორმალურ ზოგად საგანმანათლებლო გარემოში.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ინფორმაციით, პროგრამა გადამუშავდა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოვიდა პოტენციური დამსაქმებლებისგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე. უკუკავშირი მოიცავდა კონკრეტულ მოთხოვნებსა და რეკომენდაციებს, რის საფუძველზე პროგრამას დაემატა ახალი მოდულები, რომლებიც მიზნად ისახავს პროგრამის აქტუალობისა და თანამედროვე საგანმანათლებლო გამოწვევებზე რეაგირების უნარის კიდევ უფრო გაძლიერებას.

პროგრამის შემუშავების პროცესში განხორციელდა ადგილობრივი უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცეში არსებული მსგავსი პროგრამების შედარებითი ანალიზი. გარდა ამისა, პროგრამის აკადემიური ხარისხის და მასწავლებლის განათლების ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელდა პროგრამის კოლეგიალური შეფასება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დანართი 1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი განათლება“, სილაბუსები
- დანართი 2. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები
- დანართი 3. დაწყებითი/ საბაზო/ საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები
- დანართი 4. შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია
- დანართი 5. უნივერსიტეტში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის/შერჩევის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი
- დანართი 6. შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნის ანალიზი

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (სკოლამდელი განათლება, VI)	x	☐	☐	☐
პროგრამა 2 (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, VI)	x	☐	☐	☐
პროგრამა 3 (დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, VI)	x	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფის თანხმდება, რომ ამ კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სწავლის შედეგები, მცირე გამონაკლისების გარდა (რომლებიც საჭიროებენ გაუმჯობესებას), ლოგიკურად შეესაბამება პროგრამების მიზნებსა და შესაბამისი საგანმანათლებლო სფეროს სპეციფიკას. ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სწავლის შედეგები უმეტესად კარგად აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სკოლამდელი განათლება, ბაკალავრიატი)

საბაკალავრო პროგრამის „სკოლამდელი განათლება“ სწავლის შედეგები ფორმულირებულია სკოლამდელი განათლების დარგობრივი მახასიათებლებით განსაზღვრულ მოთხოვნების შესაბამისად. ეს შედეგები სტრუქტურირებულია ცოდნა და გაცნობიერების, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიის სტანდარტული კატეგორიის მიხედვით, რაც უზრუნველყოფს სრულყოფილ და ყოვლისმომცველ საგანმანათლებლო ჩარჩოს.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სტუდენტის ავტონომიისა და პასუხისმგებლობის განვითარებას, რაც ხორციელდება აკადემიურ სასწავლო გეგმაში მიზნობრივი კომპონენტების ინტეგრაციის გზით, ეს აქცენტი შეესაბამება თანამედროვე პედაგოგიურ პრიორიტეტებს, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტის აქტიურ მონაწილეობას სწავლის პროცესში და რეფლექსიური, პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირება და შემდგომი მოდიფიცირება ძირითადად განხორციელდა პროგრამის ხელმძღვანელობისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების მიერ. აკადემიური და მოწვეული პედაგოგიური პერსონალიც აქტიურად იყო ჩართული ამ პროცესში, განსაკუთრებით თვითშეფასების სამუშაო ჯგუფის მუშაობაში. მათი ჩართულობა ხაზს უსვამს თანამშრომლობით და ხარისხზე ორიენტირებულ მიდგომას სასწავლო გეგმის დაგეგმვისა და გაუმჯობესების პროცესში.

განახლებული სწავლის შედეგებია:

1. ცოდნა და გაცნობიერება

1.1. კურსდამთავრებული აღწერს და განმარტავს ადრეული ასაკის ბავშვის განვითარების მახასიათებლებს, მათ შორის განვითარების დარღვევებსა და განვითარებაზე გავლენის მქონე ფაქტორებს. განიხილავს სწავლისა და განვითარების საბაზისო თეორიებს, ასევე, ბავშვთა სწავლების მეთოდებსა და ძირითად საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ბავშვის მოვლასა და ჯანმრთელობის დაცვასთან.

1.2. კურსდამთავრებული აცნობიერებს ადრეული ასაკის ბავშვის სწავლისა და სწავლების სხვადასხვა სტრატეგიებს, აყალიბებს სასწავლო გარემოს ორგანიზების პრინციპებს და ასაბუთებს, რატომ არის თამაში მნიშვნელოვანი ბავშვის განვითარებისთვის. შეუძლია ადრეული ასაკის ბავშვის განათლების სხვადასხვა კურიკულუმის შედარება და ანალიზი, ასევე, მრავალკულტურულ გარემოში მუშაობის სტრატეგიების განსაზღვრა.

1.3. კურსდამთავრებული აანალიზებს პოზიტიური მშობლობის მნიშვნელობას ბავშვის ჰოლისტური (მთლიანი) განვითარებისთვის, აფასებს მშობლების დამოკიდებულებების გავლენას ბავშვის განვითარების პროცესზე და განმარტავს აღზრდის არსსა და პრინციპებს, აგრეთვე ხსნის, რა როლს ასრულებენ ეს მეთოდები ბავშვის განვითარების ხელშეწყობაში.

1.4. კურსდამთავრებული აღწერს და ხსნის ადრეული და სკოლამდელი ასაკის განათლებისთვის შესაბამისი სამართლებრივი და ნორმატიული აქტების რეგულირების სფეროებსა და საფუძვლიან პრინციპებს, მათ შორის ბავშვთა დაცვის სამართლებრივ ჩარჩოებს.

2. უნარები

2.1. კურსდამთავრებული ახორციელებს ბავშვზე დაკვირვებას, განსაზღვრავს განსაკუთრებულ საგანმანათლებლო საჭიროებებს და ახდენს განვითარების პროგრესის დოკუმენტირებას. კურსდამთავრებულს შეუძლია დაგეგმოს და განახორციელოს მრავალფეროვანი, ასაკისა და განვითარების შესაბამისი სტრატეგიები, აქტივობები და პროექტები, რომლებიც მორგებულია ბავშვების საჭიროებებს, ინტერესებსა და შესაძლებლობებს. აგრეთვე, კურსდამთავრებული შეიმუშავებს ინდივიდუალურ მხარდამჭერ სტრატეგიებს და ხელს უწყობს ოჯახის და საზოგადოების ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

2.2. კურსდამთავრებული ქმნის და ახორციელებს გარდამავალი პერიოდის გეგმებს, მონაწილეობს როგორც საკუთარი, ისე სხვების პედაგოგიური პრაქტიკის რეფლექსიურ შეფასებაში და აქტიურად ერთვის პროფესიულ დისკურსში.

3. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

3.1. კურსდამთავრებული გეგმავს და მართავს საგანმანათლებლო პროცესებს მკაფიო ინსტრუქციული მითითებების საფუძველზე, დოკუმენტურად აფიქსირებს პროფესიულ საქმიანობას, უზიარებს კოლეგებს საკუთარ გამოცდილებას და კონსტრუქციულად მონაწილეობს პროფესიულ დისკუსიებში, გამოხატავს გახსნილობას განსხვავებული შეხედულებების მიმართ.

სწავლის შედეგები მკაფიოდ შეესაბამება ბაკალავრის კვალიფიკაციისათვის განსაზღვრულ კომპეტენციებს. შედეგები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, გაზომვადი და მიღწევადი პროგრამის ფარგლებში. სწავლების შედეგების შესაბამისობა პროგრამის ზოგად მიზნებთან მეტად ადასტურებს მათ ლოგიკურ მთლიანობას და აქტუალობას.

გარდა ამისა, პროგრამა პასუხობს კონკრეტული სფეროს დარგობრივ მოთხოვნებს, რაც გამოიხატება კურსების მრავალფეროვნებაში და შრომის ბაზრის მოთხოვნებზე რეაგირებით. ეს შესაბამისობა დადასტურებულია როგორც დოკუმენტების ანალიზით, ასევე, გარე შეფასების პროცესში ჩატარებული ინტერვიუების მონაცემებით.

პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტაცია სრულყოფილად ასახავს პროგრამის რევიზიის პროცესს და იმ ფაქტორებს, რომლებმაც გავლენა მოახდინეს მისი შინაარსისა და მიზნების სტრუქტურირებაზე. ეს მიუთითებს იმაზე, რომ პროგრამის გაუმჯობესების უწყვეტი პროცესი ეფუძნება გააზრებულ და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მიდგომას.

აღწერა და ანალიზი — პროგრამა 2 — მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ძირითადად შემუშავებულია მასწავლებლის მომზადების დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში. ამ შედეგების ფორმულირება და შემდგომი გადახედვა ძირითადად განხორციელდა პროგრამის ხელმძღვანელობისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების მიერ. გარდა ამისა, აკადემიურმა და მოწვეულმა პედაგოგიურმა პერსონალმა დაადასტურა საკუთარი მონაწილეობა პროგრამის შემუშავების პროცესში, განსაკუთრებით თვითშეფასების სამუშაო ჯგუფში ჩართულობის გზით.

ამ თანამშრომლობითი პროცესის შედეგად, გადამუშავდა სწავლის შედეგები და ამჟამად ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:

- სწავლის შედეგი 1: გეგმავს როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან, სტუდენტზე და შედეგზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესებს; შეიმუშავებს არაფორმალურ სასწავლო აქტივობებს სტუდენტების ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით; დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს უნივერსალურ პრინციპებს, ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, ეროვნულ სასწავლო გეგმას, სკოლის პრიორიტეტებს და მოსწავლეების საჭიროებებს.
- სწავლის შედეგი 2: იყენებს განვითარებისა და საგანმანათლებლო თეორიების ცოდნას უსაფრთხო, ინკლუზიური და მოტივაციური სასწავლო გარემოს შესაქმნელად, რომელიც ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ და სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებს, კულტურულ მრავალფეროვნებას და დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს.
- სწავლის შედეგი 3: ახდენს დემოკრატიული ღირებულებებისა და მდგრადი განვითარების პრინციპების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში, მიზნად ისახავს პასუხისმგებელი მოქალაქეობის, ასევე, სოციალური და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას.

- სწავლის შედეგი 4: ქმნის შეფასების ჩარჩოებსა და რუბრიკებს სტუდენტების მიღწევებისა და პროგრესის ობიექტურად შეფასების მიზნით; ეფექტურად იყენებს განმავითარებელი შეფასების შედეგებს სტუდენტების განვითარების მხარდაჭერის მიზნით.
- სწავლის შედეგი 5: აცნობიერებს, ამუშავებს და იყენებს შესაბამის საგანმანათლებლო რესურსებსა და ციფრულ ტექნოლოგიებს სტუდენტების სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით, ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.
- სწავლის შედეგი 6: იყენებს ინოვაციურ სტრატეგიებს თანამშრომლობაზე დაფუძნებული სასკოლო კულტურის გაუმჯობესების მიზნით; ავლენს პროფესიულ პასუხისმგებლობას ეთიკური სტანდარტების დაცვაში; ქმნის გარემოს, რომელიც ხელს უწყობს ეფექტურ კომუნიკაციასა და კონსტრუქციულ თანამშრომლობას სტუდენტებთან, კოლეგებთან და მშობლებთან.
- სწავლის შედეგი 7: ერთვება თანამედროვე სამეცნიერო კვლევებსა და განათლების სფეროში მიმდინარე ტენდენციებში პროფესიული განვითარების მიზნით; გეგმავს და ახორციელებს კვლევას საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში, აფასებს შედეგებს და ახდენს რეფლექსიას პრაქტიკაზე, მოქმედი საგანმანათლებლო კანონმდებლობის ფარგლებში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სწავლის შედეგების ამჟამინდელი ფორმულირება არ განასხვავებს ცოდნისა და გაცნობიერების, უნარების და პასუხისმგებლობისა და ავტონომიის კატეგორიებს. ამის გათვალისწინებით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი გასცემს რეკომენდაციას, რომ სწავლის შედეგები გადაიხედოს და გადანაწილდეს ამ სტანდარტული კატეგორიების მიხედვით, რათა გაუმჯობესდეს მათი სიზუსტე, თანმიმდევრულობა და შესაბამისობა როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო კვალიფიკაციის ჩარჩოებთან

გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ასახავს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობას — როგორც წარდგენილი დოკუმენტაციით, ასევე, გასაუბრებით დასტურდება — რეკომენდებულია, რომ ბავშვთა უფლებების თემა მკაფიოდ აისახოს დეკლარირებულ სწავლის შედეგებში, რათა იგი შეესაბამებოდეს როგორც ეროვნულ საგანმანათლებლო პრიორიტეტებს, ისე საერთაშორისო პედაგოგიურ სტანდარტებს

აღწერა და ანალიზი – პროგრამა 3 – დაწყებითი/საბაზისო/საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

დაწყებითი/საბაზისო/საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ძირითადად შემუშავებულია მასწავლებელთა მომზადების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების შესაბამისად. ამ შედეგების ფორმულირება და შემდგომი გადახედვა ძირითადად განხორციელდა პროგრამის ხელმძღვანელობისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების მიერ. გარდა ამისა, აკადემიურმა და მოწვეულმა პედაგოგიურმა პერსონალმა დაადასტურა საკუთარი მონაწილეობა პროგრამის შემუშავების პროცესში, განსაკუთრებით თვითშეფასების სამუშაო ჯგუფში ჩართულობის გზით.

ამ თანამშრომლობითი პროცესის შედეგად, გადამუშავდა სწავლის შედეგები და ამჟამად ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:

- სწავლის შედეგი 1: გეგმავს როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან, სტუდენტზე და შედეგზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესებს; შეიმუშავებს არაფორმალურ სასწავლო აქტივობებს სტუდენტების ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით; ითვალისწინებს უნივერსალურ პრინციპებს, ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, ეროვნულ სასწავლო გეგმას, სკოლის პრიორიტეტებს და მოსწავლეების საჭიროებებს დაგეგმვის პროცესში.
- სწავლის შედეგი 2: იყენებს განვითარებისა და საგანმანათლებლო თეორიების ცოდნას უსაფრთხო, ინკლუზიური და მოტივაციური სასწავლო გარემოს შესაქმნელად, რომელიც ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ და სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებს, კულტურულ მრავალფეროვნებას და დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს.
- სწავლის შედეგი 3: ახდენს დემოკრატიული ღირებულებებისა და მდგრადი განვითარების პრინციპების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში, მიზნად ისახავს პასუხისმგებელი მოქალაქეობის, ასევე სოციალური და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას.
- სწავლის შედეგი 4: ქმნის შეფასების ჩარჩოებსა და რუბრიკებს სტუდენტების მიღწევებისა და პროგრესის ობიექტურად შეფასების მიზნით; ეფექტურად იყენებს განმავითარებელი შეფასების შედეგებს სტუდენტების განვითარების მხარდაჭერის მიზნით.
- სწავლის შედეგი 5: აცნობიერებს, ამუშავებს და იყენებს შესაბამის საგანმანათლებლო რესურსებსა და ციფრულ ტექნოლოგიებს სტუდენტების სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით, ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.
- სწავლის შედეგი 6: იყენებს ინოვაციურ სტრატეგიებს თანამშრომლობაზე დაფუძნებული სასკოლო კულტურის გაუმჯობესების მიზნით; ავლენს პროფესიულ პასუხისმგებლობას ეთიკური სტანდარტების დაცვაში; ქმნის გარემოს, რომელიც ხელს უწყობს ეფექტურ კომუნიკაციასა და კონსტრუქციულ თანამშრომლობას სტუდენტებთან, კოლეგებთან და მშობლებთან.
- სწავლის შედეგი 7: ერთვება თანამედროვე სამეცნიერო კვლევებსა და განათლების სფეროში მიმდინარე ტენდენციებში პროფესიული განვითარების მიზნით; გეგმავს და ახორციელებს კვლევას პედაგოგიური პრაქტიკის ფარგლებში; აფასებს შედეგებს და ახდენს რეფლექსიას პრაქტიკაზე, მოქმედი საგანმანათლებლო კანონმდებლობის ფარგლებში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სწავლის შედეგების ამჟამინდელი ფორმულირება არ განასხვავებს ცოდნისა და გაცნობიერების, უნარების და პასუხისმგებლობისა და ავტონომიის კატეგორიებს. ამის გათვალისწინებით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი გასცემს რეკომენდაციას, რომ სწავლის შედეგები გადაიხედოს და გადანაწილდეს ამ სტანდარტული კატეგორიების მიხედვით, რათა გაუმჯობესდეს მათი სიზუსტე, თანმიმდევრულობა და შესაბამისობა როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო კვალიფიკაციის ჩარჩოებთან.

გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ასახავს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობას — როგორც წარდგენილი დოკუმენტაციით, ასევე, გასაუბრებით დასტურდება — რეკომენდებულია, რომ ბავშვთა უფლებების თემა მკაფიოდ აისახოს დეკლარირებულ სწავლის შედეგებში, რათა იგი შეესაბამებოდეს როგორც ეროვნულ საგანმანათლებლო პრიორიტეტებს, ისე საერთაშორისო პედაგოგიკურ სტანდარტებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დანართი 1. საბაკალავრო პროგრამა "სკოლამდელი განათლება", სილაბუსები
- დანართი 2. "მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა", სილაბუსები
- დანართი 3. "დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა", სილაბუსები
- პროგრამის სწავლის შედეგებისა და დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისობის რუკა (იხ. თვითშეფასების ანგარიში)
- დანართი 6: შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა (იხილე პროგრამაში);

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, ბავშვთა უფლებების თემის მკაფიოდ ასახვა სწავლის შედეგებში, რათა ხაზი გაესვას ამ საკითხის მნიშვნელობას მომავალი პედაგოგების მომზადებაში.

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 2 - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების დაყოფა შემდეგ კატეგორიებად: ცოდნა და გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომია, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სტრუქტურული თანმიმდევრულობა და შესაბამისობა საკვალიფიკაციო სტანდარტებთან.

პროგრამა 3 - დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების დაყოფა შემდეგ კატეგორიებად: ცოდნა და გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომია, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სტრუქტურული თანმიმდევრულობა და შესაბამისობა საკვალიფიკაციო სტანდარტებთან.

შეფასება

მომზადება ან პროექტზე დაფუძნებული სწავლება. ეს მეთოდები ხელს უწყობენ ისეთი აუცილებელი პრაქტიკული კომპეტენციების განვითარებას, როგორიცაა პრობლემების იდენტიფიცირება და ანალიზი, ინფორმაციის შეგროვება და შეფასება, ასევე, თეორიული ცოდნის რეალურ პრაქტიკასთან ინტეგრაცია. ასე რომ, ამ მეთოდების მიზანია მოამზადონ კურსდამთავრებულები იმისთვის, რომ ეფექტურად იმუშაონ რეალურ პროფესიულ გარემოში.

პროგრამის სავალდებულო პრაქტიკის კომპონენტი, რომელიც მოიცავს როგორც შესავალ, ისე პროფესიულ პრაქტიკას, მნიშვნელოვან როლს თამაშობს სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარებაში. ამ კომპონენტისთვის გამოყოფილია სულ 40 ECTS კრედიტი, რაც ხაზს უსვამს მის მნიშვნელობას მთლიან სასწავლო გეგმაში. პრაქტიკის კრედიტების ეს რაოდენობა შეესაბამება ადრეული ბავშვობის განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტის მოთხოვნებს.

პრაქტიკის კომპონენტები პროგრამაში ინტეგრირებულია სავალდებულო ელემენტების სახით. სტუდენტებმა უნდა გაიარონ პასიური პრაქტიკის 51 საათი და პროფესიული პრაქტიკის 103 საათი პრაქტიკის განსაზღვრულ ადგილებში, კონკრეტულად, სკოლამდელ საგანმანათლებლო ორგანიზაციებში. ეს ჩართულობა აუცილებელია პრაქტიკული უნარების განვითარებისთვის და თეორიული ცოდნის რეალურ გარემოში ეფექტური გამოყენებისთვის. როგორც ასეთი, ეს კომპონენტები გადამწყვეტ როლს თამაშობენ პროგრამის იმ მიზნების მიღწევაში, რომლებიც უკავშირდება სტუდენტების პრაქტიკული კომპეტენციების განვითარებას, გაუმჯობესებასა და გაძლიერებას.

პრაქტიკული კომპონენტების, კონკრეტულად, სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროფესიული პრაქტიკის განხორციელება უზრუნველყოფილია სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის ცენტრთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმით, რომელსაც 63 სახელმწიფო ბაღი ექვემდებარება. ეს ბაღები, რომლებიც ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მდებარეობს, სტუდენტების პრაქტიკის ოფიციალურ ადგილებს წარმოადგენს.

თითოეული პრაქტიკის წინ, ტარდება კონსულტაცია მართვის ცენტრთან სტუდენტების რაოდენობის, ასევე, პრაქტიკის ხანგრძლივობისა და განრიგის განსაზღვრისა და შეთანხმების მიზნით. მემორანდუმი განსაზღვრავს ძირითად დეტალებს, მათ შორის სტუდენტების მაქსიმალურ რაოდენობას, რომელთა მიღებაც შეუძლია დაწესებულებას სემესტრის ან სასწავლო წლის განმავლობაში, პრაქტიკის მიზნებს და თითოეული ჩართული მხარის პასუხისმგებლობებს. ეს ფორმალიზებული კონტრაქტი უზრუნველყოფს სკოლამდელი განათლების საბაკალავრო პროგრამაში ჩარიცხული სტუდენტებისთვის პედაგოგიური პრაქტიკის კომპონენტის თანმიმდევრულ და სრულ უზრუნველყოფას, რაც მხარს უჭერს შეძენილი ცოდნის რეალურ საგანმანათლებლო გარემოში პრაქტიკულ გამოყენებას.

კვლევითი უნარების განვითარების ხელშეწყობისთვის, სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ორ ძირითად კურსს: "აკადემიური წერა" (5 ECTS) და "კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდები განათლებაში" (5 ECTS). ეს კურსები სძენს სტუდენტებს ისეთ აუცილებელ კომპეტენციებს, როგორიცაა ინფორმაციისა და მონაცემების მოძიება, დამუშავება, ანალიზი და ინტერპრეტაცია, რაც საფუძველს უქმნის აკადემიურ კვლევასა და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ პრაქტიკას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- მემორანდუმები პრაქტიკის პარტნიორებთან;
- პრაქტიკის დოკუმენტაცია;
- უსდ-ს თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებები.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, 60 ECTS

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურებისთვის 60 ECTS

პროგრამის სავალდებულო პრაქტიკული კომპონენტი „პედაგოგიური პრაქტიკა“ 10 ECTS კრედიტს შეადგენს და გადამწყვეტ როლს ასრულებს სტუდენტების პრაქტიკული სწავლების კომპეტენციების განვითარებაში. ეს კომპონენტი მოითხოვს სტუდენტებისგან ნაწილობრივ და სრულ ჩართულობას საკლასო და კლასგარეშე აქტივობებში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებში. მისი მთავარი მიზანია სტუდენტებმა შეძლონ საკლასო გარემოში გამოიყენონ სხვადასხვა სწავლების მეთოდები და სასწავლო მიდგომები, ხელი შეუწყონ მაღალი დონის კოგნიტური უნარების განვითარებას, სწავლება შეუსაბამონ ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, გამოიყენონ საინფორმაციო ტექნოლოგიები სწავლებისა და სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად და ეფექტურად გამოავლინონ და გამოიყენონ შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსები. სტუდენტებმა უნდა შეასრულონ 155 საათი შერჩეულ პრაქტიკის ადგილზე. ეს გამოცდილება აუცილებელია პროგრამის განმავლობაში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოყენებისთვის და უზრუნველყოფს პედაგოგიური უნარების განვითარებასთან, გაუმჯობესებასთან და განმტკიცებასთან დაკავშირებული მიზნების მიღწევას.

პედაგოგიური პრაქტიკის კომპონენტის განხორციელება უზრუნველყოფილია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან დადებული ფორმალური ურთიერთგაგების მემორანდუმებით, რომლებიც პრაქტიკის ადგილების როლს ასრულებენ. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მემორანდუმები გაფორმებულია სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მდებარე საჯარო და კერძო სკოლებთან. ამ მემორანდუმებში განსაზღვრულია პრაქტიკის მიზნები და აღწერილია ყველა მონაწილე მხარის როლი და პასუხისმგებლობები, თუმცა არ არის დაზუსტებული იმ სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა, რომელთა მიღებაც შესაძლებელია თითოეულ პრაქტიკის ადგილზე სემესტრის ან აკადემიური წლის განმავლობაში. გარდა ამისა, ეს მემორანდუმები გაფორმებული იყო 2019 წლის მარტში და ვიზიტის დროისთვის ვადა გაუვიდათ. მათში ასევე არ არის დაზუსტებული პრაქტიკის დაგეგმილი ხანგრძლივობა. რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა დაუყოვნებლივ განახლოს შეთანხმებები სკოლებთან პრაქტიკული კომპონენტის შეუფერხებელი განხორციელების უზრუნველსაყოფად. ეს შეთანხმებები მკაფიოდ უნდა

განსაზღვრავდეს სტუდენტთა რაოდენობას, რომელთა მიღებაც შეუძლია პრაქტიკის ობიექტს, ასევე პრაქტიკის მიზნებსა და ხანგრძლივობას. ეს უზრუნველყოფს პედაგოგიური პრაქტიკის კომპონენტის ყოვლისმომცველ განხორციელებას ყველა მონაწილე სტუდენტისთვის.

თითოეული პრაქტიკა მოიცავს მენტორობის მხარდაჭერას. სტუდენტების საქმიანობას პრაქტიკის ობიექტზე ერთობლივად ხელმძღვანელობენ ადგილობრივი მენტორი და უნივერსიტეტის მიერ დანიშნული პრაქტიკის ხელმძღვანელი. პრაქტიკის კომპონენტით მიღწეულ სწავლის შედეგებს ერთობლივად აფასებენ მენტორი, ხელმძღვანელი და პრაქტიკის დაცვის კომისია. ეს სტრუქტურა უზრუნველყოფს პედაგოგიური პრაქტიკის კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების ეფექტურ მიღწევასა და შეფასებას.

კვლევითი უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს სასწავლო კურსს „პედაგოგიური კვლევა“ (4 კრედიტი). ეს კურსი გადამწყვეტ როლს ასრულებს სტუდენტებისთვის კვლევის საკითხების ან პრობლემების გამოვლენის პროცესების გაცნობაში მათი საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის ფარგლებში. გარდა ამისა, მისი მიზანია გაამყაროს მათი ცოდნა საგანმანათლებლო კვლევის მეთოდოლოგიაში და ხაზი გაუსვას მის მნიშვნელობას უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- სილაბუსები;
- მემორანდუმები პრაქტიკის პარტნიორებთან;
- პრაქტიკის დოკუმენტაცია;
- უსდ-ს თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 2: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, 60 ECTS

პროგრამა 3: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურებისთვის 60 ECTS

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა დროულად განაახლოს მემორანდუმები სკოლებთან, რათა უზრუნველყოფილი იქნას პრაქტიკის კომპონენტის შეუფერხებელი განხორციელება. ამ მემორანდუმებში მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული პრაქტიკაზე მისაღები სტუდენტების რაოდენობა, ასევე, პრაქტიკის მიზნები და ხანგრძლივობა.

შეფასება

კომპონენტი 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1: (სკოლამდელი განათლება, VI)	X	☐	☐	☐
პროგრამა 2: (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, VI)	☐	X	☐	☐
პროგრამა 3: (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა დაწყებითი/ საბაზო/საშუალო საფეხურებისთვის, VI)	☐	X	☐	☐

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-წავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სასწავლო კურსებში გამოყენებული სწავლებისა და სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების დონეს, თითოეული კურსის სპეციფიკურ შინაარსს და დასახულ სწავლის შედეგებს. ეს მეთოდები ასევე ასახავს პროგრამის შესაბამის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს.

სწავლების პროცესის სტრუქტურაში გამოიყენება მეთოდოლოგიები, რომლებიც უზრუნველყოფენ იმ ცოდნისა და უნარების განვითარებას, რომლებიც შეესაბამება მასწავლებლისთვის საჭირო კვალიფიკაციებს. პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები მიიღწევა ისეთი მეთოდების კომბინაციით, როგორიცაა ინტერაქტიული ლექციები, თანამშრომლობითი ჯგუფური აქტივობები, პრაქტიკული სესიები, სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობა და პრაქტიკაზე დაფუძნებულ აქტივობებში აქტიური ჩართულობა.

სწავლების სტრატეგიები მიზანმიმართულად უწყობს ხელს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას. მეთოდები მნიშვნელოვნად უწყობენ ხელს ურთიერთობას როგორც სტუდენტებს შორის, ისე სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს შორის. სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა აქტიურად მიიღონ მონაწილეობა სწავლის პროცესში, რაც მხარს უჭერს საგნობრივი ცოდნისა და ისეთი არსებითი ტრანსფერული უნარების განვითარებას, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, ანალიტიკური დასაბუთება და ეფექტური კომუნიკაცია.

პროგრამის ფარგლებში სწავლების მიდგომა ეფუძნება კონსტრუქტივიზმის პრინციპებს, რომელიც ხაზს უსვამს სტუდენტების ინტერესებისა და წინა გამოცდილების დანერგვას, რამდენადაც ეს შესაძლებელია. სწავლებისა და სწავლის მეთოდების დასახულ სწავლის შედეგებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, პროგრამების ფარგლებში შემუშავდა დეტალური რუკა. ეს რუკა კონკრეტულ სწავლებისა და სწავლის მეთოდებს აკავშირებს დასახულ სწავლის შედეგებთან, გამოავლენს, თუ რამდენად უჭერს მხარს თითოეული მეთოდი მათ მიღწევას - და აჯგუფებს მათ როგორც მაღალი, საშუალო ან დაბალი. ეს სტრუქტურირებული მიდგომა უზრუნველყოფს იმ სწავლების სტრატეგიების ეფექტურობის მკაფიო შეფასებას, რომელიც აძლიერებს პროგრამის მიერ დასახული კომპეტენციების მიღწევას.

უნივერსიტეტი აკმაყოფილებს ინდივიდუალურ სწავლის საჭიროებებს ინდივიდუალური მხარდაჭერის შეთავაზებით და, სადაც მიზანშეწონილია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებით სტუდენტის აკადემიური ინტერესებისა და მზაობის საფუძველზე. ეს სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომა აძლიერებს ინკლუზიურობას და უზრუნველყოფს სწავლის მრავალფეროვანი გზების ეფექტურ მხარდაჭერას.

როგორც გასაუბრებების დროს აღინიშნა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს წვდომას ელექტრონულ და/ან დისტანციურ სწავლებაზე, და ეს შესაძლებელია მხოლოდ კონკრეტულ გარემოებებში და სტუდენტების მოთხოვნით. რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა შეიმუშაოს მარეგულირებელი ჩარჩო, რომელიც აღწერს დისტანციური და ელექტრონული სწავლების კომპონენტების მიწოდების სტანდარტებსა და მახასიათებლებს. გარდა ამისა, სასურველია აკადემიური პერსონალისთვის მიზნობრივი ტრენინგის ჩატარება ონლაინ სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებზე, რაც უზრუნველყოფს დისტანციური სწავლის პრაქტიკის ეფექტურ განხორციელებასა და ხარისხის უზრუნველყოფას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1: სკოლამდელი განათლება, ბაკალავრიატი

სკოლამდელი განათლების საბაკალავრო პროგრამაში ცოდნის გადაცემა ხორციელდება სხვადასხვა მეთოდების საშუალებით, მათ შორის ლექციები, ზეპირი (სიტყვიერი) მეთოდი, წიგნთან მუშაობის მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, პრაქტიკული მეთოდები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), თანამშრომლობითი სწავლება და ელექტრონული რესურსების გამოყენება და ელექტრონული სწავლება (პირისპირ, ჰიბრიდული, სრულად დისტანციური სწავლება). სწავლებისა და სწავლის პროცესი ასევე მოიცავს ინტერაქტიული აქტივობების მთელ რიგს, როგორიცაა დისკუსიები, დებატები, დემონსტრირება, გონებრივი იერიში, როლური თამაშები, პრეზენტაციები და სემინარები, რომლებიც მორგებულია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სილაბუსები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- უსდ-ს თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებები.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, 60 ECTS

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურებისთვის 60 ECTS

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაში ცოდნის მიწოდება ხორციელდება სხვადასხვა მეთოდების საშუალებით, მათ შორის ლექციები, ჯგუფური მუშაობა, პრაქტიკული მეცადინეობები, სემინარები და ელექტრონული რესურსების გამოყენება და ელექტრონული სწავლება. სწავლებისა და სწავლის პროცესი ასევე მოიცავს ინტერაქტიული აქტივობების მთელ რიგს, როგორიცაა დისკუსიები, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაციები და სემინარები, რომლებიც მორგებულია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- სილაბუსები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- უსდ-ს თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა შეიმუშაოს მარეგულირებელი ჩარჩო, რომელიც განსაზღვრავს დისტანციური და ელექტრონული სწავლების სტანდარტებსა და მახასიათებლებს.

კლასტერის საერთო რჩევები:

სასურველია, აკადემიური პერსონალისთვის მიზნობრივი ტრენინგის ჩატარება ონლაინ სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებზე, რაც უზრუნველყოფს დისტანციური სწავლის პრაქტიკის ეფექტურ განხორციელებასა და ხარისხის უზრუნველყოფას.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 2.3 სწავლება- სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1: (სკოლამდელი განათლება, VI)	☐	X	☐	☐
პროგრამა 2 (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, VI)	☐	X	☐	☐
პროგრამა 3 (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურებისთვის, VI)	☐	X	☐	☐

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტმა დანერგა და განახორციელა სტუდენტთა შეფასების ყოვლისმომცველი და მკაფიოდ განსაზღვრული სისტემა, რომელიც სრულ შესაბამისობაშია საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან. შეფასების პროცესი სამართლიანი, გამჭვირვალე და უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისია. სასწავლო კურსების შეფასების კომპონენტები ასახავს შესაბამისი დისციპლინის სპეციფიკასა და მიზნებს. ისინი შეესაბამება დასახულ სწავლის შედეგებს და სტუდენტის მიღწევების ზუსტი შეფასების საშუალებას იძლევა. მრავალფეროვანი და კურსისთვის შესაბამისი შეფასების ინსტრუმენტების გამოყენება ხელს უწყობს მთლიანი შეფასების სისტემის საიმედოობას.

ყველა პროგრამის ფარგლებში სტუდენტები წინასწარ ეცნობიან შეფასების კრიტერიუმებს, კომპონენტებს, მეთოდებსა და რუბრიკებს, რადგან ისინი დეტალურადაა აღწერილი სილაბუსებში, რომლებსაც ლექტორები აცნობენ თითოეული სემესტრის დასაწყისში. შეფასების შედეგები გამჭვირვალედ ეცნობება სტუდენტებს უნივერსიტეტის სასწავლო მართვის სისტემის (LMS) მეშვეობით და სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, რომელიც ადგენს როგორც მათ ძლიერ მხარეებს, ასევე გასაუმჯობესებელ სფეროებს. ეს ხელს უწყობს მათ აკადემიურ ზრდას და რეფლექსიურ სწავლას.

სტუდენტთა ცოდნა ფასდება 100-ქულიანი შეფასების სისტემით, რომელიც მოიცავს სავალდებულო შეფასების კომპონენტებს - შუალედური და საბოლოო შეფასებები. ამ კომპონენტების ჯამი შეადგენს საბოლოო ქულას, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის აკადემიური მუშაობის ყოვლისმომცველ შეფასებას. შუალედური შეფასება არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი ქულის 70%-ს, ხოლო საბოლოო შეფასება უნდა შეადგენდეს მინიმუმ 30%-ს. თითოეული კომპონენტის ქულობრივ განაწილებას განსაზღვრავს კურსის ხელმძღვანელი. შეფასების თითოეულ კომპონენტს (შუალედური და საბოლოო) უნდა ჰქონდეს განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომლის მიღწევა ან გადალახვა მოეთხოვება სტუდენტებს.

შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი უნდა იყოს მისი მაქსიმალური ქულის 30%-დან 50%-მდე, როგორც ეს კურსის ხელმძღვანელის მიერ არის დადგენილი. დასკვნითი შეფასებისთვის ეს ზღვარი არ უნდა აღემატებოდეს მაქსიმალური ქულის 60%-ს. გარდა ამისა, შეფასების თითოეულ კომპონენტს (შუალედური და საბოლოო) უნდა ჰქონდეს შეფასების მეთოდები, რომლებსაც ინდივიდუალურად არჩევენ და იყენებენ კურსის ხელმძღვანელი.

შეფასების მეთოდები ფასდება სპეციფიკური კრიტერიუმებით, რომლითაც იზომება სასწავლო შედეგების მიღწევის ხარისხი. კურსი წარმატებით დასრულდებულად ითვლება, თუ შუალედური და დასკვნითი შეფასებების ჯამური ქულა შეადგენს მინიმუმ 51 ქულას. კრედიტები მიენიჭება სტუდენტს მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი მიიღებს წესით განსაზღვრულ ერთ-ერთ დადებით ქულას. შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მინიმალური კომპეტენციის ზღვრის მიღწევა სავალდებულოა კრედიტის მოსაპოვებლად.

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა შეიმუშავა და განახორციელა "პლაგიატის გამოვლენის პროგრამული უზრუნველყოფა Turnitin- ის გამოყენებისა და პლაგიატის გამოვლენის კომისიის საქმიანობის წესი". ამ რეგულაციის თანახმად, სამეცნიერო ნაშრომში დასაშვები მსგავსების ინდექსი შეიძლება იყოს 20%-დან 30%-მდე, დისციპლინის, დარგისა და კვლევის საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით. რეკომენდებულია დასაშვები მსგავსების ზღვრის გადახედვა, რადგან ნაშრომის თითქმის ერთი მესამედის მსგავსება ეჭვებს ბადებს ნაშრომის ორიგინალურობის თაობაზე.

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, უნივერსიტეტი რგულარულად ატარებს ტრენინგებს, ვორქშოფებსა და საინფორმაციო შეხვედრებს, რომლებიც მიზნად ისახავს აკადემიური კეთილსინდისიერების ხელშეწყობას, ეთიკური სტანდარტების დაცვას, სტუდენტთა ცნობიერების ამაღლებასა და ამ პრინციპების შესაბამისობის გაძლიერებას. თუმცა, გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ აკადემიური პერსონალი, პროგრამის კოორდინატორები და სტუდენტები საკმარისად არ იცნობდნენ აკადემიური კეთილსინდისიერების რეგულაციის მოთხოვნებს. რეკომენდებულია სტუდენტებისა და პერსონალის ცნობიერების ამაღლება აკადემიური კეთილსინდისიერების, ასევე პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და რეაგირების მექანიზმების შესახებ.

უნივერსიტეტმა დანერგა სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემური მექანიზმი, რომელიც მოიცავს აკადემიური მოსწრების ძირითადი ინდიკატორების იდენტიფიცირებას, შეგროვებასა და ანალიზს. ეს პროცესი უნივერსიტეტს საშუალებას აძლევს თვალი ადევნოს სტუდენტთა პროგრესს და მიიღოს გადაწყვეტილებები აკადემიური წარმატების მხარდაჭერისთვის. ხორციელდება შეფასების შედეგების რეგულარული ანალიზი ტენდენციების გამოვლენისა და სწავლებისა და შეფასების პრაქტიკის უწყვეტი გაუმჯობესების ინფორმირების მიზნით.

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა შეიმუშავა და დანერგა "გამოცდების ჩატარებისა და გამოცდის შედეგების გასაჩივრების წესები". შუალედური და დასკვნითი გამოცდების შედეგების გასაჩივრების პროცესის ხელშეწყობის მიზნით, რექტორის ბრძანებით შეიქმნა სააპელაციო კომისია, რომელიც მოქმედებს იმავე ბრძანებით განსაზღვრული და დამტკიცებული პროცედურების შესაბამისად. უნივერსიტეტში მოქმედებს გასაჩივრების ფორმალური პროცესი იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც შეფასების შედეგების გასაჩივრება სურთ. პროცესი გამჭვირვალეა და მოიცავს რექტორის ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ ჩატარებულ ხელახალ შეფასებას. სტუდენტები წინასწარ არიან ინფორმირებულნი გასაჩივრების უფლებისა და მასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1: სკოლამდელი განათლება, ბაკალავრიატი

სკოლამდელი განათლების პროგრამის ფარგლებში გამოიყენება შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად. პროგრამის აღწერის თანახმად, ეს მეთოდები მოიცავს ზეპირ/ წერითი გამოცდას/ კითხვარს, პროექტს, პორტფოლიოს, ტესტს, ესეს (და სხვა წერით დავალებებს, მაგ., სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული საგანმანათლებლო გეგმის შედგენას, საქმიანობის დაგეგმვას და ა.შ.), დემონსტრაციას (სტუდენტის მიერ შექმნილი საგანმანათლებლო და განმავითარებელი რესურსები; რეფლექსიური ჩანაწერები; თვითრეფლექსია; დაკვირვებისა და შეფასების ჩანაწერები), ზეპირ ანგარიშს/ პრეზენტაციას, დისკუსიას, აუდიოვიზუალურ პრეზენტაციას, გამოფენას, პრაქტიკის პორტფოლიოს, პრაქტიკის კვლევით ანგარიშს, შემთხვევის ანალიზს, საჭიროებებზე დაფუძნებულ პროფესიული განვითარების გეგმებს, საბაკალავრო ნაშრომს, სპექტაკლში/ სპექტაკლის დადგმაში მონაწილეობას, საკონცერტო შესრულებას, პრაქტიკულ/ თეორიულ დავალებებს, გუნდურ მუშაობას, დისკუსიებში მონაწილეობას, შემთხვევების გადაჭრას, იმიტირებულ პროცესებში მონაწილეობას და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამა არ მოიცავს საბაკალავრო ნაშრომს და არც ისეთ კომპონენტებს მოიცავს, რომელთა შეფასებისთვის გამოიყენება ისეთი მეთოდები, როგორიცაა სპექტაკლში მონაწილეობა ან დადგმა, საკონცერტო შესრულება ან იმიტირებულ პროცესებში მონაწილეობა. რეკომენდებულია შეფასების მეთოდების გადახედვა და მხოლოდ იმ მეთოდების განსაზღვრა, რომლებიც შეესაბამება პროგრამის კომპონენტების კონკრეტულ მახასიათებლებს და უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სილაბუსები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- პლაგიატის გამოვლენის პროგრამის Turnitin- ის გამოყენებისა და პლაგიატის გამოვლენის კომისიის საქმიანობის წესი;
- გამოცდების ჩატარებისა და გამოცდის შედეგების გასაჩივრების წესები;
- უსდ-ს თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებები.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, 60 ECTS

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურებისთვის 60 ECTS

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოიყენება შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად. პროგრამის აღწერის თანახმად, ეს მეთოდები მოიცავს ზეპირ/ წერიტი გამოცდას/ კითხვარს, პროექტს, პორტფოლიოს, ტესტს, ესეს (და სხვა წერით დავალებებს, მაგ., სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული საგანმანათლებლო გეგმის შედგენას, საქმიანობის დაგეგმვას და ა.შ.), დემონსტრაციას (სტუდენტის მიერ შექმნილი საგანმანათლებლო და განმავითარებელი რესურსები; რეფლექსიური ჩანაწერები; თვითრეფლექსია; დაკვირვებისა და შეფასების ჩანაწერები), ზეპირ ანგარიშს/პრეზენტაციას, დისკუსიას, აუდიოვიზუალურ პრეზენტაციას, გამოფენას, პრაქტიკის პორტფოლიოს; პრაქტიკის კვლევით ანგარიშს, შემთხვევის ანალიზს, საჭიროებებზე დაფუძნებულ პროფესიული განვითარების გეგმებს, საბაკალავრო ნაშრომს, სპექტაკლში/ სპექტაკლის დადგმაში მონაწილეობას, საკონცერტო შესრულებას, პრაქტიკულ/ თეორიულ დავალებებს, გუნდურ მუშაობას და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამა არ მოიცავს საბაკალავრო ნაშრომს. რეკომენდებულია, შეფასების მეთოდების გადახედვა და მხოლოდ იმ მეთოდების განსაზღვრა, რომლებიც შეესაბამება პროგრამის კომპონენტების კონკრეტულ მახასიათებლებს და უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- სილაბუსები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- პლაგიატის გამოვლენის პროგრამის Turnitin- ის გამოყენებისა და პლაგიატის გამოვლენის კომისიის საქმიანობის წესი;
- გამოცდების ჩატარებისა და გამოცდის შედეგების გასაჩივრების წესები;
- უსდ-ს თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, სტუდენტებისა და პერსონალის ცნობიერების ამაღლება აკადემიური კეთილსინდისიერების, ასევე პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და რეაგირების მექანიზმების შესახებ.

- რეკომენდებულია, შეფასების მეთოდების გადახედვა და მხოლოდ იმ მეთოდების განსაზღვრა, რომლებიც შეესაბამება პროგრამის კომპონენტების კონკრეტულ მახასიათებლებს და უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერის საერთო რჩევები:

- რეკომენდებულია, გადაიხედოს მსგავსების დასაშვები ზღვარი, რადგან ნაშრომის თითქმის მესამედის მსგავსება აჩენს კითხვებს, ნაშრომის ორიგინალურობასთან დაკავშირებით.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 2.4. - სტუდენტის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1: (სკოლამდელი განათლება, VI)	☐	X	☐	☐
პროგრამა 2: (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, VI)	☐	X	☐	☐
პროგრამა 3: (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა დაწყებითი/ საბაზო/საშუალო საფეხურებისთვის, VI)	☐	X	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1: სკოლამდელი განათლება, ბაკალავრიატი	☐	x	☐	☐
პროგრამა 2: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	☐	x	☐	☐
პროგრამა 3 მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურებისთვის	☐	x	☐	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია ყველა სიახლის შესახებ როგორც ზეპირად, ასევე ელექტრონულად. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და შედეგების გაუმჯობესების მიზნით,

სტუდენტები ასევე იღებენ ინფორმაციას და კონსულტაციებს ფაკულტეტის ადმინისტრაციისგან. სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ რეგულარულად ტარდება გამოკითხვები (კითხვარების სახით), რომლებიც ფოკუსირებულია კურსის სტრუქტურის, შინაარსისა და მატერიალური და ადამიანური რესურსების ადეკვატურობის შეფასებაზე დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის თვალსაზრისით. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია განახლებული კომპიუტერული ინფრასტრუქტურა და გაუმჯობესებული სასწავლო პორტალი, რაც უზრუნველყოფს სწავლისთვის საჭირო ელექტრონულ რესურსებზე უწყვეტ წვდომას. აკადემიური და კარიერული კონსულტირება ეფექტურად ფუნქციონირებს, მათ შორის სწავლის დაგეგმვის, შეფასებისა და დასაქმების შესაძლებლობების მიმართულებით. სტუდენტებისთვის მიწოდებული ინფორმაცია არის ადეკვატური და დროული, და ვრცელდება მრავალი არხის მეშვეობით, რაც ხელს უწყობს მათ უკეთეს ინტეგრაციას საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. არსებობს სტუდენტების ჩართულობის შესაძლებლობები ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებსა და კვლევით საქმიანობაში, რაც მნიშვნელოვნად აძლიერებს პროგრამების პრაქტიკულ ღირებულებას. პერსონალის ჩართულობა მაღალია, როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული პერსონალი აქტიურად მუშაობს სტუდენტებთან და უზრუნველყოფს უწყვეტ მხარდაჭერას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1: სკოლამდელი განათლება, ბაკალავრიატი

ბოლო წლებში, აკადემიური პორტალზე წვდომა და ფუნქციონირება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, რაც მოქმედ სტუდენტებს ელექტრონულ რესურსებზე ბევრად უკეთეს წვდომას უზრუნველყოფს წინა წლების კურსდამთავრებულებთან შედარებით. გამოკითხულმა სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა გამოავლინეს ცოდნა აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების პროცედურების შესახებ. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, არავის გაუსაჩივრებია ასეთი გადაწყვეტილებები და გასაჩივრების სურვილიც არ გამოუხატავს. მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც გაძლიერდა და კომპიუტერების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც აადვილებს საგანმანათლებლო რესურსებზე წვდომას. სტუდენტები იღებენ ყოვლისმომცველ კონსულტაციებს სწავლის დაგეგმვის, აკადემიური წარმატებისა და კარიერული განვითარების შესახებ. უნივერსიტეტის პერსონალი აქტიურად არის ჩართული სტუდენტების მხარდაჭერაში როგორც აკადემიური პროგრამების ფარგლებში, ასევე ადმინისტრაციულ დონეზე. ისინი რეგულარულად იღებენ ინფორმაციას კონსულტაციებისა და საგანმანათლებლო სერვისების შესახებ. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი/კოორდინატორი უზრუნველყოფს, რომ სტუდენტები იღებენ უახლეს ინფორმაციას პროგრამის სასწავლო გეგმის შესახებ. სტუდენტებს ასევე აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა პროექტებში, გაცვლით პროგრამებში, კონფერენციებში, რაც ხელს უწყობს მათი პრაქტიკული უნარების განვითარებას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის განხორციელების დროს სტუდენტები სრულ მხარდაჭერას იღებენ სწავლის დაგეგმვის, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისა და დასაქმების შესაძლებლობების შესწავლის მიმართულებით. საინფორმაციო მხარდაჭერა ეფექტურად ფუნქციონირებს — სტუდენტები იღებენ დროულ და ყოვლისმომცველ ინფორმაციას როგორც აკადემიური პროცესების, ასევე, კარიერასთან დაკავშირებული შესაძლებლობების შესახებ. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ტექნიკური მხარდაჭერა;

დაემატა კომპიუტერები, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა საჭირო რესურსებზე წვდომის ბარიერები. სტუდენტები კარგად არიან ინფორმირებულნი სხვადასხვა პროექტების, ღონისძიებებისა და საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობების შესახებ. პროგრამაში ჩართული აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი უზრუნველყოფს რეგულარულ ინდივიდუალურ და ჯგუფურ კონსულტაციებს, რაც წარმოადგენს სტუდენტური მხარდაჭერის მნიშვნელოვან კომპონენტს. სისტემატურად ხორციელდება სტუდენტების ინტეგრაცია საუნივერსიტეტო გარემოში, რაც მათ საშუალებას აძლევს უკეთ გამოიყენონ შიდა სერვისები და აქტიურად მიიღონ მონაწილეობა ინსტიტუციურ ცხოვრებაში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა დაწყებითი/ საბაზისო/ საშუალო საფეხურებისთვის

პროგრამა სტუდენტებს უზრუნველყოფს სტრუქტურირებული და ყოვლისმომცველი მხარდაჭერით, რომელიც მოიცავს აკადემიური წინსვლისთვის აუცილებელ ინსტრუმენტებს, ასევე რესურსებს, რომლებიც ხელს უწყობს კარიერულ განვითარებას. საკონსულტაციო სისტემა კარგად არის ორგანიზებული და სტუდენტები რეგულარულად იღებენ მხარდაჭერას როგორც აკადემიური პერსონალისგან, ასევე ადმინისტრაციული სტრუქტურებისგან. ინფორმაციის მიწოდება მკაფიო და დროულია, სტუდენტები განსაკუთრებით ხაზს უსვამენ კომუნიკაციის ეფექტურობას. პროგრამას მხარს უჭერს შესაბამისი ინფრასტრუქტურა, მათ შორის განახლებული კომპიუტერული ბაზა, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს ეფექტურად დაგეგმონ და მართონ თავიანთი აკადემიური საქმიანობა. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებსა და გამოყენებით კვლევით საქმიანობაში, რაც ხელს უწყობს მათ პროფესიულ განვითარებას. სტუდენტებს ასევე აქვთ გარკვეული შესაძლებლობები მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში (ერთ- ერთმა გამოკითხულმა კურსდამთავრებულმა მონაწილეობა მიიღო Erasmus+ გაცვლით პროგრამაში). სტუდენტების ინტეგრაციისა და მხარდაჭერის დონე საუნივერსიტეტო გარემოში მაღალია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დანართი 1. თვითშეფასების ანგარიში.
- დანართი 26. სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები
- გასაუბრების შედეგები
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: <http://www.zssu.ge/zssu2/>.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1: სკოლამდელი განათლება, ბაკალავრიატი

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 3.1 - სტუდენტთა კონსულტირება და მათი მხარდაჭერის სერვისები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (სკოლამდელი განათლება, VI)	x	☐	☐	☐
პროგრამა 2 (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, VI)	x	☐	☐	☐
პროგრამა 3 (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურებისთვის, VI)	x	☐	☐	☐

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

არ შეესაბამება

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

არ შეესაბამება

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური) ¹	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელების რაოდენობა	
//სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების რაოდენობა	
//დოქტორანტების რაოდენობა	
თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები	
თანაფარდობა - სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელები/დოქტორანტები	

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

არ შეესაბამება

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ შეესაბამება

კლასტერის საერთო რჩევები: არ ეხება

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ შეესაბამება

შეფასება

კომპონენტი 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)	☐	☐	☐	☐

¹ საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)	☐	☐	☐	☐
პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური)	☐	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (დაწყებითი განათლება, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)	x	☐	☐	☐
პროგრამა 2 (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა)	x	☐	☐	☐
პროგრამა 3 (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურებისთვის)	x	☐	☐	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
 - პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
 - პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
-

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი დასაქმებულია ეროვნული კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად. აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამართლებრივი და შესაბამისი დანიშვნის უზრუნველსაყოფად, დასაქმებისა და სახელშეკრულებო პროცესები ტარდება გამჭვირვალედ, დადგენილი ინსტიტუციური პოლიტიკის შესაბამისად.

როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება პროგრამის აკადემიურ მოთხოვნებსა და შესაბამისი დარგობრივი მახასიათებლების სტანდარტებს. პერსონალს გააჩნია საჭირო აკადემიური კვალიფიკაცია და მათი საგნობრივი კომპეტენცია დასაბუთებულია ბოლო ხუთი წლის განმავლობაში განხორციელებული შესაბამისი სამეცნიერო საქმიანობით/პუბლიკაციებით. ეს მოიცავს რეფერირებად სამეცნიერო პუბლიკაციებს, მონოგრაფიებს, სახელმძღვანელოებს, ხოლო ხელოვნების შემთხვევაში – შემოქმედებით ან საშემსრულებლო პროექტებს. მოწვეული და აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათზე დაკისრებულ პასუხისმგებლობას და დასტურდება შესაბამისი განათლებით, პროფესიული გამოცდილებითა და საგნობრივი კომპეტენციებით. მათ გააჩნიათ პრაქტიკული და პედაგოგიური კომპეტენციები, რაც აუცილებელია სტუდენტებისთვის პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ეფექტიანი მხარდაჭერისთვის.

კლასტერში შემავალი თითოეული პროგრამა უზრუნველყოფილია აფილირებული აკადემიური პერსონალის საკმარისი რაოდენობით, რაც განაპირობებს მის მდგრადობას. მოწვეული პერსონალის შემთხვევაში, გათვალისწინებულია მათი დატვირთვა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. პროგრამის კოორდინატორებს აქვთ სასწავლო გეგმის შემუშავების გამოცდილება და მრავალწლიანი პედაგოგიური კომპეტენცია. აკადემიური პერსონალი ინიშნება კონკურსის წესით, რა დროსაც ფასდება მათი ცოდნა, გამოცდილება და კვალიფიკაცია. მათ გააჩნიათ პროგრამის სწავლის

შედეგების მიღწევისთვის საჭირო კომპეტენციები, ფლობენ პროგრამის პროფილთან შესაბამის აკადემიურ ხარისხს და აჩვენებენ სწავლებისა და კვლევის გამოცდილებას, რაც დასტურდება მათი წარდგენილი CV-ებითა და თვითშეფასების ანგარიშის დანართი 1-ით.

პროგრამა უზრუნველყოფილია აკადემიური და მოწვეული პერსონალის მუდმივად განახლებადი დატვირთვის სქემით, რომელიც გადაიხედება სემესტრულად. ძირითადად, პერსონალის ერთობლივი დატვირთვა იმართება ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამების შეუფერხებელი განხორციელება. თუმცა, ხარისხის მართვის სისტემის (QMS) მონაცემთა ბაზიდან მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, არის შემთხვევები, როდესაც აკადემიური პერსონალის საერთო ყოველკვირეული დატვირთვა ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში შეადგენს 57, 53 ან 43 საათს. რეკომენდებულია, რომ დატვირთვის განაწილება იყოს ლოგიკური ყველა აკადემიური პერსონალისთვის, რათა ხელი შეეწყოს სწავლებას, ხელმძღვანელობას, სასწავლო გეგმების განვითარებასა და სტუდენტებთან ურთიერთობას ზედმეტი დატვირთვის გარეშე, რაც დადებითად აისახება სწავლების ხარისხსა და სტუდენტების შედეგებზე.

პროგრამაზე არსებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა შეესაბამება სტუდენტთა რაოდენობას. აღნიშნული უზრუნველყოფს ეფექტურ მენტორობას, სტუდენტების საჭიროებებზე რეაგირებას და აკადემიური ხარისხის შენარჩუნებას. პროგრამის მდგრადობისა და აკადემიური კეთილსინდისიერების მხარდასაჭერად, აფილირებულ აკადემიურ პერსონალსა და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი სტრატეგიულად არის მართული. უსდ ატარებს პროგრამასთან დაკავშირებული რაოდენობრივი ინდიკატორების ანალიზს, მათ შორის პერსონალის ბრუნვის, სტუდენტ-პერსონალის თანაფარდობისა და დატვირთვის განაწილების შესახებ.

პროგრამების ხელმძღვანელები ავლენენ აკადემიური პროგრამის ეფექტური შემუშავების, განხორციელებისა და უწყვეტი განვითარებისთვის აუცილებელ ცოდნას, კვალიფიკაციასა და პროფესიულ გამოცდილებას. მათი განათლება შესაბამისობაშია პროგრამის დარგსა და საფეხურთან. გარდა აკადემიური კვალიფიკაციისა, პროგრამების ხელმძღვანელებს აქვთ პრაქტიკული გამოცდილება, რომელიც უშუალოდ უწყობს ხელს პროგრამის აკადემიურ განვითარებას. ხელმძღვანელები აქტიურად არიან ჩართულნი პროგრამის სასიცოცხლო ციკლის ყველა ეტაპზე, მათ შორის მის შეფასებასა და უწყვეტ განვითარებაში. ეს მოიცავს მონაწილეობას სასწავლო გეგმების შემუშავებაში, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებასა და დარგობრივი მახასიათებლების სტანდარტებთან და ინსტიტუციურ მიზნებთან შესაბამისობაში მოყვანას. ისინი საკვანძო როლს ასრულებენ პროგრამის აქტივობების კოორდინაციაში, სწავლების ხარისხის მონიტორინგსა და აკადემიურ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაში. უფრო მეტიც, ხელმძღვანელები უშუალო ინტერაქციას ინარჩუნებენ სტუდენტებთან აკადემიური კონსულტირებისა და მენტორობის მეშვეობით, აძლევენ მითითებებს როგორც აკადემიურ წინსვლასთან, ისე კარიერულ დაგეგმვასთან დაკავშირებით.

პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილია საკმარისი რაოდენობის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, მათ შორის 8 ადმინისტრაციული და 104 დამხმარე პერსონალი, რომელთა საერთო რაოდენობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს პროგრამის ეფექტურ მართვასა და ყოველდღიურ ფუნქციონირებას. პერსონალის სტრუქტურა დაგეგმილია ისე, რომ დააკმაყოფილოს როგორც სტუდენტების, ისე ფაკულტეტის აკადემიური, ორგანიზაციული და ლოგისტიკური საჭიროებები.

ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს გააჩნია მათი შესაბამისი როლებისთვის საჭირო კვალიფიკაცია და კომპეტენციები. მათი განათლება, ტექნიკური უნარები და შესაბამისი სამუშაო გამოცდილება შეესაბამება იმ კონკრეტულ ფუნქციებს, რომლებსაც ისინი ასრულებენ, რაც უზრუნველყოფს პროფესიონალურ და ეფექტურ მომსახურებას. პერსონალი კარგად იცნობს ინსტიტუციურ პროცედურებსა და აკადემიურ რეგულაციებს, რაც მათ საშუალებას აძლევს ეფექტიანად დაუჭირონ მხარი სტუდენტებს სწავლის განმავლობაში. ეს მოიცავს დახმარებას მიღებასთან, რეგისტრაციასთან, აკადემიურ ჩანაწერებთან, განრიგთან, კომუნიკაციასა და პროგრამასთან დაკავშირებული საკმინაობების კოორდინაციასთან დაკავშირებით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1: დაწყებითი განათლება, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი განათლება“ უზრუნველყოფილია შემდეგი აკადემიური პერსონალით: 1 პროფესორი, 12 ასოცირებული პროფესორი და 5 ასისტენტ-პროფესორი, მათ შორის 1 აფილირებული პროფესორი, 10 აფილირებული ასოცირებული პროფესორი და 5 აფილირებული ასისტენტ-პროფესორი, ასევე, 19 მოწვეული სპეციალისტი.

პროგრამა 1 [1] დაწყებითი განათლება, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი [2]	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი [3]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	18	11	11	16
- პროფესორი	1	0	0	1
- ასოცირებული პროფესორი	12	9	9	10
- ასისტენტ-პროფესორი	5	2	2	5
- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	19	18	17	–
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0	–

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, 60 კრედიტი

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შემდეგი აკადემიური პერსონალით: 12 ასოცირებული პროფესორი და 1 ასისტენტ-პროფესორი, მათ შორის 10 აფილირებული ასოცირებული პროფესორი და 1 აფილირებული ასისტენტ-პროფესორი, ასევე 15 მოწვეული სპეციალისტი.

პროგრამა 2 [4] მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, 60 კრედიტი				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი [5]	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი [6]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	13	13	9	11
- პროფესორი	0	0	0	0
- ასოცირებული პროფესორი	12	12	9	10
- ასისტენტ-პროფესორი	1	1	0	1
- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	15	15	8	–
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0	–

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურებისთვის, 60 კრედიტი

დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შემდეგი აკადემიური პერსონალით: 7 ასოცირებული პროფესორი და 1 ასისტენტ-პროფესორი, მათ შორის 5 აფილირებული ასოცირებული პროფესორი და 1 აფილირებული ასისტენტ-პროფესორი, ასევე 11 მოწვეული სპეციალისტი.

პროგრამა 3 [7]: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურებისთვის, 60 კრედიტი

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი [8]	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი [9]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	8	8	7	6
- პროფესორი	0	0	0	0
- ასოცირებული პროფესორი	7	7	7	5
- ასისტენტ-პროფესორი	1	1	0	1
- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	11	11	5	–
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0	–

[1] საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

[2] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[3] საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

[4] საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

[5] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[6] საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

[7]საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

[8]ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[9]საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სილაბუსები;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების ანგარიში და დანართი 1;
- პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები: კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატები (CV-ები);
- შრომითი ხელშეკრულებების ნიმუშები;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- ხარისხის მართვის სისტემის (QMS) მონაცემები;
- გასაუბრებები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, რომ დატვირთვის განაწილება იყოს ლოგიკური ყველა აკადემიური პერსონალისთვის, რათა ხელი შეეწყოს სწავლებას, ხელმძღვანელობას, სასწავლო გეგმების განვითარებასა და სტუდენტებთან ურთიერთობას ზედმეტი დატვირთვის გარეშე, რაც დადებითად აისახება სწავლების ხარისხსა და სტუდენტების შედეგებზე.

კლასტერის ზოგადი რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 4.1 ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (დაწყებითი განათლება, VI)	☐	X	☐	☐

პროგრამა 2 (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, VI)	☐	X	☐	☐
პროგრამა 3 (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურებისთვის, VI)	☐	X	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

არ შეესაბამება

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)			
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა			
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ-პროფესორი			

მოწვეული პერსონალი			–
სამეცნიერო პერსონალი			–

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

არ შეესაბამება

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

არ შეესაბამება

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ შეესაბამება

კლასტერის საერთო რჩევები: არ შეესაბამება

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ შეესაბამება

შეფასება

კომპონენტი 4.2 მაგისტრანტის და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)	☐	☐	☐	☐
პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)	☐	☐	☐	☐
პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური)	☐	☐	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების სისტემა, რაც ასევე ვრცელდება იმ თანამშრომლებზე, რომლებიც ჩართულნი არიან ამ კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებში. ამ შეფასებებში გათვალისწინებულია პედაგოგიური (სასწავლო), ასევე კვლევითი და სხვა საქმიანობები, და ხაზგასმულია უფრო მეტი ბალანსი, რამაც ხელი უნდა შეუწყოს პერსონალს ეფექტურად ჩაერთოს სწავლებაში, კვლევაში და ასევე სხვა შესაბამის საქმიანობაში.

ასეთი შეფასებები ფოკუსირებულია პერსონალის საქმიანობაზე, მაგრამ ასევე მიზნად ისახავს მათი პროფესიული განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირებას. შეფასება ითვალისწინებს პერსონალის მიერ დაკავებულ პოზიციას და ასევე უნივერსიტეტის/პროგრამების კლასტერის განვითარების ხელშეწყობის აუცილებლობას.

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამ პროცესების მიმართულების განმსაზღვრელი ძირითადი დოკუმენტია „აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების დებულება“.

უნივერსიტეტში გამოიყენება აკადემიური (და მოწვეული) პერსონალის შეფასების სხვადასხვა ფორმა. ისინი მოიცავს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ყოველწლიურ შეფასებას, პროფესიული განვითარების ყოველწლიურ შეფასებას, აკადემიური საქმიანობის სემესტრულ შეფასებას სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის მიერ, სტუდენტების მიერ (ძირითადად კითხვარების გამოყენებით), აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებას დეკანის, პროგრამის ხელმძღვანელის, საგამოცდო ცენტრის მიერ.

დოკუმენტებითა და ადგილზე ვიზიტისას ჩატარებული გასაუბრებით დადასტურდა, რომ უნივერსიტეტი შეფასებების შედეგებს პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის იყენებს. დაწყებულია ტრენინგები აკადემიური მუშაობის სხვადასხვა ასპექტთან (სწავლება, კვლევა და სხვა

შესაბამისი საქმიანობა) დაკავშირებით და პერსონალი წახალისებულია მიიღონ მასში მონაწილეობა. ბოლო პერიოდში ორგანიზებული ამ აქტივობების სია საკმაოდ გრძელია და მოიცავს არაერთ ინიციატივას, რომელიც მხარდაჭერილია სხვადასხვა წყაროდან, მათ შორის საერთაშორისო წყაროებიდან. უნივერსიტეტის მონაწილეობა ზოგიერთ ევროკავშირის პროექტში (განათლების განვითარების მიმართულებით) ამ მხრივ ასევე ხელშემწყობია. ერთ-ერთი შეზღუდვა ბევრი თანამშრომლისთვის არის ინგლისური ენის ცოდნის დაბალი დონეა - უნივერსიტეტი აცხადებს, რომ უზრუნველყოფს მათთვის ენის კურსებს, ვისაც ეს სჭირდება და ასევე დგამს სხვა ნაბიჯებსაც, თუმცა ამ პროცესს დრო სჭირდება. ამის გარეშე, საუნივერსიტეტო საქმიანობის საერთაშორისო განზომილებას ყოველთვის ექნება შეზღუდვები, რაც ამ კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებსაც ეხება.

წარსულთან შედარებით, დღესდღეობით მეტი აქცენტი კეთდება პერსონალის კვლევით და საგამომცემლო პროფილზე. უნივერსიტეტი ცდილობს უზრუნველყოს აღნიშნულის მხარდასაჭერად საჭირო პირობები (მატერიალური, ფინანსური). პროგრესი ეტაპობრივად შესამჩნევია, თუმცა ამ მიმართულებით კიდევ ბევრია გასაკეთებელი, რაც ასევე ეხება საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერში გაერთიანებულ პროგრამებს. ამავდროულად, კლასტერის პროგრამები არის ბაკალავრიატისა და მასწავლებლის მომზადების (VI დონე), და ესეც გასათვალისწინებელია უნივერსიტეტის/პროგრამების კლასტერის საქმიანობის ამ ასპექტის შეფასებისას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების დებულება;
- გასაუბრებები;

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: რეკომენდებულია, აკადემიური პერსონალის კვლევითი, საგამომცემლო და ინგლისური ენის ცოდნის დონის გაუმჯობესების მიმართულებით მუშაობა.

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (დაწყებითი განათლება, VI)	☐	x	☐	☐
პროგრამა 2 (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, VI)	☐	x	☐	☐
პროგრამა 3 (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა დაწყებითი/საბაზო/საშუალო ო საფეხურებისთვის, VI)	☐	x	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში გაერთიანებული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებსა და პერსონალს შეუძლიათ ისარგებლონ უნივერსიტეტში არსებული ძლიერი მატერიალური რესურსებით, რომლებიც მათ განკარგულებაშია. მათ შორის არის ბიბლიოთეკა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ინვენტარი და ციფრული რესურსები. აღნიშნული რესურსი და საშუალებები არის იმ რაოდენობისა და ხარისხის, რაც აუცილებელია როგორც პროგრამების, ისე მთლიანი კლასტერის მიზნებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად.

წლების განმავლობაში შეინიშნება ამ რესურსებისა და საშუალებების განახლებისა და შემდგომი განვითარების აშკარა ტენდენცია, რაც დადებითად აისახება კლასტერში გაერთიანებულ პროგრამებზე. ეს ეხება ბიბლიოთეკას, სწავლა-სწავლების სივრცეებს, ასევე ციფრულ რესურსებს.

დოკუმენტაციითა და ადგილზე ვიზიტით დადასტურდა, რომ ბიბლიოთეკა მოიცავს სილაბუსებში მითითებულ ძირითად ლიტერატურას და ასევე კლასტერში შემავალი პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო სხვა სასწავლო მასალებს. სტუდენტებისა და პერსონალისთვის შესაბამისი ელექტრონული მონაცემთა ბაზების მეშვეობით ხელმისაწვდომია სწავლის სფეროს უახლესი პერიოდული გამოცემები, მათ შორის შესაბამისი საერთაშორისო გამოცემები, თუმცა, როგორც ჩანს, ინგლისურენოვანი სასწავლო რესურსების გამოყენება შეზღუდულია სწავლების პროცესში. უნივერსიტეტის წარმომადგენლების განცხადებით, სტუდენტები და პერსონალი გადიან ტრენინგებს/საინფორმაციო სესიებს, რათა გაეცნონ ამ რესურსების გამოყენების გზებს. სწავლება-სწავლის ხელშემწყობი რესურსების გამოყენება სტუდენტებისთვის უფასოა და ისინი ინფორმირებულნი არიან ამის შესახებ. გასაუბრებამ ცხადყო, რომ კურსდამთავრებულებს ასეთი წვდომა არ აქვთ.

აღწერა და ანალიზი -პროგრამა 1 (დაწყებითი განათლება, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

ზემოაღნიშნული ინფორმაცია მატერიალური რესურსის შესახებ სრულად შეესაბამება დაწყებითი განათლების, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა)

ზემოაღნიშნული ინფორმაცია მატერიალური რესურსის შესახებ სრულად შეესაბამება მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა დაწყებითი/საბაკალავრო/საშუალო საფეხურებისთვის)

ზემოაღნიშნული ინფორმაცია მატერიალური რესურსის შესახებ სრულად შეესაბამება მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი/საბაკალავრო/საშუალო საფეხურებისთვის განხორციელებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ადგილზე ვიზიტი;

- გასაუბრებები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები:

სასურველია, გაგრძელდეს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ცნობიერების ამაღლება და მათი ხელშეწყობა, რათა ეფექტურად გამოიყენონ ელექტრონულ მონაცემთა ბაზებში არსებული რესურსები.

სასურველია, განიხილოთ კურსდამთავრებულებისთვის უნივერსიტეტის ყველა სასწავლო რესურსზე უფასო წვდომის მინიჭების შესაძლებლობა.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 4.4 მატერიალური რესურსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (სკოლამდელი განათლება, VI)	x	☐	☐	☐
პროგრამა 2 (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, VI)	x	☐	☐	☐
პროგრამა 3 (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურებისთვის, VI)	x	☐	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტის ბიუჯეტი შემოსავლების რამდენიმე წყაროსგან შედგება. 2024 წლის ჯამური შემოსავალი შეადგენს 7,335,719 ლარს, ხოლო 2025 წლისთვის – 6,857,500 ლარს. ბიუჯეტი შედგენილია ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით (სწავლის საფასური, გრანტები, შემოწირულობები, პროგრამების დაფინანსება და სხვა), ასევე არის შემოსავალი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციიდან, პროფესიული განათლების საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები, საპროცენტო შემოსავალი ფულადი დეპოზიტებიდან და სხვა.

უნივერსიტეტს აქვს ინტეგრირებული ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს ყველა სახის სახსრებსა და ხარჯებს. და ეს თანხები შემდგომში ნაწილდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რათა დაფინანსდეს საგანმანათლებლო პროგრამების სხვადასხვა საფეხური, მათ შორის ამ პროგრამების კლასტერში გაერთიანებული პროგრამები.

სოციალურ მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიუჯეტი 2025 წლისთვის შეადგენდა 3,076,750 ლარს. ის ძირითადად შედგენილია სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებით (307 000 ლარი) და პროდუქტებისა და სერვისების რეალიზაციით (სწავლის საფასური) (2 769 750 ლარი). სოციალურ მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიუჯეტი შემდგომში არ არის ცალსახად დაყოფილი კლასტერში შემავალი ინდივიდუალური პროგრამების, ან თავად კლასტერის მიხედვით. ბიუჯეტის მუხლებიდან ნათლად ჩანს, რომ კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების განხორციელება გააზრებულია და სოციალურ მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიუჯეტი შეიძლება ჩაითვალოს საკმარისად კლასტერის პროგრამების განსახორციელებლად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფაკულტეტის/უნივერსიტეტის ბიუჯეტებში გათვალისწინებული ფინანსური რესურსის განაწილება ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების საჭიროებებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1: სკოლამდელი განათლება, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პროგრამა საკმარისად ფინანსდება უნივერსიტეტის ინტეგრირებული ბიუჯეტიდან, ანუ სოციალურ მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიუჯეტიდან. ბიუჯეტირება ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პროგრამა საკმარისად ფინანსდება უნივერსიტეტის ინტეგრირებული ბიუჯეტიდან, ანუ სოციალურ მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიუჯეტიდან. ბიუჯეტირება ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურებისთვის

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პროგრამა საკმარისად ფინანსდება უნივერსიტეტის ინტეგრირებული ბიუჯეტიდან, ანუ სოციალურ მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიუჯეტიდან. ბიუჯეტირება ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ბიუჯეტი;
- გასაუბრებები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (სკოლამდელი განათლება, VI)	x	☐	☐	☐
პროგრამა 2 (მასწავლებლის მომზადების პროგრამა, VI)	x	☐	☐	☐

პროგრამა 3 (მასწავლებლის
მომზადების საგანმანათლებლო
პროგრამა
დაწყებითი/საბაზო/საშუალო
საფეხურებისთვის, VI)

x

☐

☐

☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (დაწყებითი განათლება, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)	x	☐	☐	☐
პროგრამა 2 (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა)	x	☐	☐	☐
პროგრამა 3 (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურებისთვის)	x	☐	☐	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს ოფიციალური რეგულაციების შესაბამისად, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ძირითადი ჩარჩო კი

აკადემიური საბჭოს მიერ არის დამტკიცებული. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა შეესაბამება დაგეგმე-შეასრულე-შეამოწმე-იმოქმედე (PDCA) ციკლის პრინციპებს. რეგულაციები აღწერს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცედურებს, მათ შორის სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართულობას ამ პროცესში.

გასაუბრებები ხაზს უსვამს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და პროგრამის პერსონალს შორის არსებულ თანამშრომლობით ურთიერთობას ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების დაგეგმვაში, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებასა და შედეგების ანალიზში. უნივერსიტეტმა დანერგა როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მეთოდები პროგრამებისა და სწავლის შედეგების შესაფასებლად. პროგრამის პერსონალი, ზოგადად, სრულყოფილად ფლობს ინფორმაციას შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის, მისი ფუნქციონირებისა და შესაბამისი მიგნებების პროგრამის გაუმჯობესებაში შეტანილი წვლილის შესახებ. კლასტერული საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ანგარიშის შემუშავება იყო ერთობლივი ძალისხმევა, რომელშიც ჩართულნი იყვნენ პროგრამის პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები.

უნივერსიტეტში მოქმედი მშობელთა კლუბი მიზნად ისახავს ბავშვთა აღზრდასთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას. კლუბის წევრები აქტიურად მონაწილეობდნენ პროგრამის შემუშავებასა და შეფასებაშიც. როგორც კლუბის წევრებმა აღნიშნეს, ამ საუნივერსიტეტო პარტნიორობას დიდი მნიშვნელობა აქვს მათი პირადი განვითარებისთვის, რადგან ის აწვდის ინფორმაციას ბავშვის განვითარებასთან დაკავშირებულ სპეციფიკურ თემებზე და ადგენს შესაბამის მოლოდინებს სკოლამდელი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პედაგოგებისთვის. პროგრამის პერსონალის განცხადებით, კლუბის წევრების უკუკავშირი გათვალისწინებულია სასწავლო გეგმის შემუშავებაში. მათი დასკვნების საფუძველზე, პროგრამაში რამდენიმე დამატებითი კურსი იქნა ინტეგრირებული. შესაბამისად, ეს ინიციატივა, რომელიც თავდაპირველად არატრადიციულად ჩანდა, პროგრამის გაუმჯობესების ღირებულ ინსტრუმენტად იქცა.

პროგრამის პერსონალი ითვალისწინებს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების უკუკავშირს პროგრამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას, ხოლო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მათთან თანამშრომლობს სხვადასხვა გამოკითხვითა და შეფასებით გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით. თუმცა, სასარგებლო იქნება, თუ აკადემიური და მოწვეული პერსონალი განავითარებს უნივერსიტეტის პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების უფრო სრულყოფილ გაგებას.

პროგრამის პერსონალი მუდმივად აკონტროლებს სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების პირდაპირ შეფასებებს. თუმცა, გასაუბრებებმა გამოავლინა არასაკმარისი ცოდნა სასწავლო პროგრამებისთვის შემუშავებული სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებისა და შესაბამისი სამიზნე ნიშნულების შესახებ. ეს მექანიზმები წარმოადგენს პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების კრიტიკულ ინსტრუმენტებს, რადგან ისინი უზრუნველყოფენ ყოვლისმომცველ მიმოხილვას იმის შესახებ, თუ როგორ განხორციელდა პროგრამის პერსონალისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიციატივები და მიღწეულ იქნა პროგრამის მიზნები. შესაბამისად, პროგრამის პერსონალმა უნდა გააფართოოს თავისი ყურადღება კურსის დონეზე არსებული პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასებების მიღმა, რათა მოიცვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის ყოვლისმომცველი მონაცემები, რომლებიც იზომება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გაატაროს ღონისძიებები, რათა მეტად აამაღლოს პროგრამის პერსონალის ცნობიერება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის შესახებ. ამ მექანიზმის ეფექტური დანერგვა როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, ისე პროგრამის პერსონალის მიერ, მათი ერთობლივი ძალისხმევით, ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამების უფრო ეფექტურ განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში და თანმხლები დოკუმენტები;
- ინტერვიუს შედეგები.

• **კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** რეკომენდებულია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები პროგრამის პერსონალის ცნობიერების ამაღლების მიზნით, რათა ისინი სრულად და სიღრმისეულად გაეცნონ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სისტემას.

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 5.1 შიდა ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (სკოლამდელი განათლება, VI)	☐	X	☐	☐
პროგრამა 2 (მასწავლებლის მომზადების პროგრამა, VI)	☐	X	☐	☐
პროგრამა 3 (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა დაწყებითი/საბაზისო/საშუალო საფეხურებისთვის, VI)	☐	X	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში შემავალი საგანმანათლებლო პროგრამები რეგულარულად იყენებენ გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების შედეგებს, ძირითადად საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული აკრედიტაციის პროცედურების საშუალებით. მასწავლებლის მომზადების პროგრამების სასწავლო გეგმები შემუშავდა და გაუმჯობესდა ექსპერტთა რჩევებისა და რეკომენდაციების შესაბამისად, რომლებიც წარმოიშვა ამ აკრედიტაციის პროცედურებიდან.

გარდა ამისა, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეფასებისთვის საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს გაეგზავნა. თვითშეფასების ჯგუფმა საკუთარი რეკომენდაციები ასევე შეიტანა პროგრამის სასწავლო გეგმებში.

პროგრამები ასევე შეადარეს სხვა ქართულ და საერთაშორისო უნივერსიტეტებში არსებულ ანალოგიურ პროგრამებს.

საბოლოოდ, კლასტერში წარმოდგენილი პროგრამების სასწავლო გეგმები შეიქმნა თვითშეფასების ჯგუფისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ, აღნიშნული შეფასებების, შედარებებისა და პარტნიორი დამსაქმებელი ორგანიზაციების რეკომენდაციების საფუძველზე (დეტალები განხილული იქნება 5.3 კომპონენტში).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში და წარმოდგენილი დოკუმენტაცია;
- გასაუბრების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 5.2 გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (დაწყებითი განათლება, VI)	x	☐	☐	☐
პროგრამა 2 (მასწავლებლის მომზადების პროგრამა, VI)	x	☐	☐	☐
პროგრამა 3 (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა დაწყებითი/საბაზისო/საშუალო საფეხურებისთვის, VI)	x	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მექანიზმები განსაზღვრულია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის რეგულაციებით და ხორციელდება აკადემიური პერსონალის, მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით, სისტემატური მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის გზით.

სტუდენტები აფასებენ სასწავლო კურსებს, საგანმანათლებლო პროგრამებს და სწავლა-სწავლების პროცესს სტანდარტიზებული კითხვარების მეშვეობით. უნივერსიტეტი რეგულარულად ატარებს გამოკითხვებს სტუდენტების, აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების დონის შესახებ უკუკავშირის შესაგროვებლად. შესაბამისი კვლევის შედეგები წარმოდგენილია თვითშეფასების ანგარიშთან (SER) ერთად.

როგორც 5.2 კომპონენტში აღინიშნა, პროგრამები შედარებულ იქნა უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ სასწავლო გეგმებთან, რათა უზრუნველყოფილ იყოს მათი შესაბამისობა საერთაშორისო საგანმანათლებლო ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებთან. შედარების ამსახველი დოკუმენტაცია შესაბამისად იქნა წარმოდგენილი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უნივერსიტეტისა და გარე დაინტერესებულ მხარეებს, მათ შორის დამსაქმებლებს, კურსდამთავრებულებსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს (მშობელთა კლუბის წევრები) შორის თანამშრომლობა.

თვითშეფასების ანგარიშში და თანდართულ დოკუმენტაციაში მოცემული ამ პარტნიორობის ინფორმაცია დადასტურდა ზემოხსენებულ ფოკუს ჯგუფებთან გასაუბრებების დროს. ცხადი იყო, რომ დამსაქმებლები, მათ შორის მუნიციპალური ორგანიზაციების, საბავშვო ბაღებისა და ადგილობრივი სკოლების წარმომადგენლები, აქტიურად იყვნენ ჩართულნი სასწავლო გეგმის შემუშავებაში. აღნიშნული დაინტერესებული მხარეები ავლენენ სრულყოფილ ცოდნას პროგრამის შინაარსის შესახებ როგორც ზოგად, ისე სილაბუსის დონეზე. მათი რეკომენდაციების საფუძველზე დაემატა ან მოდიფიცირებულ იქნა რამდენიმე კურსი, ხოლო მასწავლებელთა მომზადების პროგრამებში დამატებითი მოდულები იქნა ინტეგრირებული აკრედიტაციისთვის, სკოლების სპეციფიკური მოთხოვნების საპასუხოდ.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების პროგრამებს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების თანამშრომლებისთვის. ამ გამოცდილებიდან გამომდინარე და საბავშვო ბაღების პერსონალთან თანამშრომლობით, შესაბამისი კურსები ინტეგრირდა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში.

გასაუბრებამ დაადასტურა, რომ უნივერსიტეტსა და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს შორის თანამშრომლობა მიმდინარეობს და დაწესებულება რეგულარულად ითხოვს უკუკავშირის კურსდამთავრებულებისა და მიმდინარე სტუდენტებისგან, რათა უზრუნველყოს პროგრამის უწყვეტი გაუმჯობესება.

როგორც აღწერილია 5.1 კომპონენტში, მშობელთა კლუბი (დეტალურად იხილეთ თვითშეფასების ანგარიშის მე-12 გვერდიდან) აქტიურად იყო ჩართული საბაკალავრო პროგრამის შემუშავებაში. ეს ჩართულობა იმსახურებს განსაკუთრებულ აღიარებას, როგორც უნივერსიტეტის „მესამე მისიის“ ნათელი მაგალითი, რომელიც განისაზღვრება როგორც „უნივერსიტეტის თავდაუზოგავი ერთგულება საზოგადოებრივი კეთილდღეობისადმი კონკრეტული აქტივობებისა და კომუნიკაციის გზით, რაც მოიცავს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ფართო საზოგადოებას შორის თანამშრომლობას ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ და გლობალურ დონეებზე, სოციალური პასუხისმგებლობისა და ჰორიზონტალური ანგარიშვალდებულების ფარგლებში.“ (საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ხედვა უნივერსიტეტების მესამე მისიის გაძლიერებისა და მხარდაჭერის შესახებ).

<https://www.mes.gov.ge/content.php?id=7755&lang=geo&csrt=2486796159906921165>)

კლასტერში გაერთიანებული პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის გაუმჯობესების საბოლოო შეფასების შესაჯამებლად ნათელია, რომ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ეფექტურად ფუნქციონირებს და სისტემატურად გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრამებზე. უწყვეტი გაუმჯობესებისთვის უნივერსიტეტმა თავი უნდა დაიცვას იმისგან, რომ ეს პროცესები არ იქცეს მექანიკურ სავარჯიშოებად. ამისათვის აუცილებელია ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შეგროვებული მონაცემების სიღრმისეული ხარისხობრივი ანალიზი და მუდმივი ყურადღების მიქცევა პროგრამის შინაარსის განვითარებაზე მრავალფეროვანი დაინტერესებული მხარეების თანმიმდევრული თანამშრომლობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში და წარმოდგენილი დოკუმენტაცია;
- ინტერვიუს შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები:

სასურველია, უნივერსიტეტმა თავიდან აიცილოს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების მექანიკურ ფორმალობად ქცევა. ამისათვის საჭიროა, ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შეგროვებული მონაცემების სიღრმისეული ხარისხობრივი ანალიზი და შინაარსის განვითარებაზე მუდმივი კონცენტრირება, რაც უნდა ხორციელდებოდეს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან უწყვეტი თანამშრომლობის გზით.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში): არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (დაწყებითი განათლება, VI)	X	☐	☐	☐
პროგრამა 2 (მასწავლებლის მომზადების პროგრამა, VI)	X	☐	☐	☐
პროგრამა 3 (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურებისთვის, VI)	x	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (დაწყებითი განათლება, VI)	x	☐	☐	☐
პროგრამა 2 (მასწავლებლის მომზადების პროგრამა, VI)	x	☐	☐	☐
პროგრამა 3 (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურებისთვის, VI)	x	☐	☐	☐

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სახელწოდება, საფეხურები: დაწყებითი განათლება, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; მასწავლებლის მომზადების პროგრამა; მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურებისთვის.

პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობა

შინაარსი	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
სტანდარტი					
პროგრამა 1 (დაწყებითი განათლება, საბაკალავრო	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

საგანმანათლებლო პროგრამა)					
პროგრამა 2 (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 3 (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურებისთვის)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან